



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგობილ ბუქ-
უძი სიფყვას, ცუდილუბით და ჭიბუბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯადისთბაგე უსამაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 7 თებერვალი. 2019 წ. №26-27 (8692-8693)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

ფიცი გვნამს, ბოლო გვაკვირვებს!



ინს სტოლტენბერგი მხოლოდ სარიელი დაპირუბებით გვკვებავს, ჩრდილოეთ მაკედონიას კი სასწრაფოდ ნატოში იღებენ!!!

ნატოში მაკედონიის განვერიანება ნიშნავს, რომ ალი-
ანსის კარი ღიაა და ის ამ გზაზე საქართველოს მხარდაჭე-
რას განაგრძობს. ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა
მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მაკედონიასთან განვერი-
ანების პროტოკოლის ხელმოწერის შემდეგ განაცხადა.
მაკედონიამ და ალიანსის წევრმა 29 ქვეყანამ ხელი
მოაწერეს პროტოკოლს ნატოში მაკედონიის განვერი-
ანების შესახებ. ჟურნალისტებმა სტოლტენბერგს კ
კითხეს, რას ნიშნავდა ეს მოვლენა ნატოში საქართვე-
ლოს განვერიანების პერსპექტივის თვალსაზრისით?
„ეს ნიშნავს, რომ ნატოს კარი ღიაა იმ ქვეყნების-
თვის, რომლებიც ალიანსის სტანდარტებს პასუხო-

ბენ, რომლებიც მხარს უჭერენ ნატოს ფასეულობებს“,
- განაცხადა სტოლტენბერგმა ბრიფინგზე.
მისი თქმით, ალიანსი „ძალიან აღფრთოვანებუ-
ლია იმით, რასაც საქართველოში ხედავს, კერძოდ,
რეფორმებისადმი ერთგულებას და თავდაცვისა და
უსაფრთხოების ინსტიტუტების გაძლიერებას“. მი-
სივე თქმით, ის მიესალმება ნატოს წევრი ქვეყნების
ლიდერების მიერ გასული წლის ივლისში სამიტზე
მკაფიოდ გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს
წევრობის პერსპექტივის მხარდაჭერის შესახებ.
როდემდე მხოლოდ ცარიელი სიტყვები,
ბატონო ინს?!

საჯაშუირის მოჩივი ცხოვენსურობა



ემიგრანტებო, თქვენ უმონყალოდ გაბრიყვებენ!

ეს ჩვენი სინამდვილეა

ენბურზე ისევ „იბტაქვეშა“ გადასასვლელების ბიზნესი ყვავის!

ზუბდიდი დიდი ტრთაბრძოლის მოლოდინებია

ანაკლიის პორტის კაპიტალი სრულად შეივსო



ზაზა სარალიძემ აბრეშიული, კანონ- სანიხააღმდებო და შეურაცხემყოფალი საქსიელი გამოავლინა მასნაპლავლის შრომის ანაზღაურება აღუკვებური გახდება

ქართველმა ბელგიაში ბანკი „კოლივუდურად“ გაბარცვა



თბილისის ყოფილი მერი ვანო ზოდელავა გარდაიცვალა

61 წლის ასაკში თბილისის ყოფილი მერი ვანო ზოდელავა გარდაიცვალა. ვანო ზოდელავა აზერ-
ბაიჯანის საზღვრიდან თბილისისკენ მომავალ გზა-
ზე ავტოავარიაში 2017 წლის ივლისში მოყვა. ავა-
რიის დროს მან თავის ტრავმა მიიღო. მისი ჯანმრ-
თელობის მდგომარეობა მძიმე იყო. ავტოავარიის
შემდეგ, დღემდე ის კომაში იყო. ვანო ზოდელავა
1997-1998 წლებში ქალაქ ფოთის მერი, ხოლო 1998-
2004 წლებში თბილისის მერი იყო.

მასწავლებლის შრომის ანაზღაურება აღიკვამტური გახდება

ჩვენთვის პრიორიტეტი ახალ რეფორმაში იქნება მასწავლებლის ადგილი და მისი საზოგადოებრივი სტატუსი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ხახტაძემ განათლების რეფორმის შემავაშებელ პრეზენტაციაზე.

„უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, ძალადობისაგან თავისუფალი და კეთილგანწყობილი გარემო; განხორციელდება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ჩვენ უკვე წელს გავზარდეთ ბიუჯეტი ორნახევარჯერ ამ მიმართულებით. მე ნამდვილად არ მსურს, საქართველოში ვიხილო მხოლოდ ე.წ. ელიტური და პრესტიჟული სკოლები. საქართველოში ყველა სკოლა უნდა იყოს წარმატებული და ძალიან მაღალი ხარისხის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებს, სადაც მეტად იგრძნობა პრობლემები როგორც ინფრასტრუქტურის, ისე ადამიანური რესურსებისა და სხვა თვალსაზრისით“, — თქვა ხახტაძემ და აღნიშნა, რომ განათლება და მეცნიერება კომპლექსური სისტემაა და ბევრი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან შედგება, რომელიც ფუნდამენტურ და მასშტაბურ მიდგომას მოითხოვს. „ამიტომაც რეფორმის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ექსპერტები, განათლების სფეროს სპეციალისტები. ამ პროცესში ასევე ჩართული იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, USAID-ი, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი და თითქმის ყველა დონორი, თუ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორი. მინდა მაღლობა გადავუხადო ყველას, ვინც უდიდესი შრომა გასწია და ასეთი მასშტაბური რეფორმა წარმოგვიდგინა“, — თქვა ხახტაძემ.

განათლების სისტემაში არსებული გამოწვევების დაკლება რადიკალური ცვლილებების გარეშე შეუძლებელია

უნდა ვალიაროთ, რომ პრობლემები განათლების სისტემასა და მეცნიერებაში ჯერაც ძალიან ბევრია და შეუძლებელია ამ გამოწვევების დაძლევა რადიკალური ცვლილებების გარეშე.

მისი თქმით, ხელისუფლების მთელი ძალისხმევა მიმართულია საზოგადოებრივი დაკვეთის შესრულებისა და შედეგების რაც შეიძლება სწრაფად მიღწევისაკენ.

„დღეს საზოგადოების წინაშე გამოგვაქვს განათლების რეფორმა, რომელიც, სრულად მორგებულია ჩვენს რეალობაზე და იმ გამოწვევებზე, რომელიც გვაქვს განათლების სისტემაში. რეფორმა მოიცავს ხუთივე საფეხურს, ესენია: ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლება და მეცნიერება. არაერთი მიმართულებით უკვე გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები და საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან პროცესებს. თუმცა, გულწრფელად უნდა ვალიაროთ, რომ პრობლემები განათლების სისტემასა და მეცნიერებაში ჯერაც ძალიან ბევრია და შეუძლებელია ამ გამოწვევების დაძლევა რადიკალური ცვლილებების გარეშე. წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის განათლების სექტორში შეიქმნა დეფიციტი, რომელიც სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას. ყველაზე მძიმე გამოწვევა გახლავთ



ის, რომ ეკონომიკური განვითარება და განათლება და მეცნიერება ერთმანეთს დაშორდა. ეს იყო ძალიან დიდი დარტყმა ჩვენი ეკონომიკური პოტენციალისთვის. ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში სწორედ ეს ორი მიმართულება იქნება განმსაზღვრელი. ამ ორმა მიმართულებამ ერთად უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის დაჩქარებული განვითარება, ეკონომიკური განვითარება და რეფორმა განათლების სექტორში — შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ეს არის ერთიანი სტრატეგია, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან“, — თქვა ხახტაძემ.

მნიშვნელოვნად ნაპასუხისმკებ ახლა გახდება მისწრაფება

მაცნიერებაზე უზრუნველყოფა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი და სათანადო ადგილი ეთმობა რეფორმაში. „რეფორმა ითვალისწინებს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას

და მეცნიერების დაფინანსების ზრდას. მნიშვნელოვნად წავახალისებთ ახალგაზრდა მეცნიერებს. წარმოდგენილი რეფორმა ითვალისწინებს თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი და ამავე დროს გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული პროფესიონალების ჩამოყალიბებას. თანამედროვე ეპოქა, ახალი ტექნოლოგიები და სწრაფად ცვალებადი სამყარო ადამიანებისგან მოითხოვს ახალ, კომპლექსურ უნარ-ჩვევებს, პრაქტიკულ აზროვნებას, ინფორმაციის გადამუშავების, აგრეთვე პრობლემებზე სწრაფი რეაგირების უნარს და ლოგიკურ აზროვნებას. სწორედ ასეთი მიდგომით არის შემუშავებული და ამ მიზნების მიღწევას ემსახურება რეფორმა, რომელსაც დღეს წარვუდგენთ საზოგადოებას. განათლების რეფორმის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სისტემას, რომლის ცენტრშიც იქნება თითოეული ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა თუ მასწავლებელი“, — თქვა ხახტაძემ და აღნიშნა, რომ რეფორმის გატარებით, ქვეყანა გადავა განვითარების ახალ ეტაპზე.

ბატონი ბიძინა სვლიძის, დაპირისპირებული მხარეები შეარჩიოს...

საპარლამენტო უმრავლესობის სხდომიდან გამოსულმა გია გაჩეჩილაძემ თქვა, რომ დღევანდელ სხდომაზე მმართველი გუნდის წევრთა შორის დაპირისპირების თემას ძალიან მცირე დრო დაეთმო და ძირითადი ნაწილი სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს ეხებოდა — „ბატონი ბიძინას პოზიცია ყოველთვის არის ის, რომ შეარჩიოს დაპირისპირებული მხარეები“, — ამბობს გაჩეჩილაძე. „ქართული ოცნების“ უმრავლესობა გუშინ კიდევ ერთხელ შეიკრიბა. სხდომას ივანიშვილი ხელმძღვანელობდა და ის რამდენიმე საათის განმავლობაში გაგრძელდა.



მოგნიფლა ეტაპი, რომ რამდენიმე აღამიანა საბოლოო გადაწყვეტილება მივიღოთ!

— განაცხადა უმრავლესობის წევრმა ევა ბესელიამ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ. „მე გეტყვით ჩემს მოსაზრებას: სწორედ იქიდან გამოდინარე, რომ მე არ მინდა რაიმე ჩვენი ნაბიჯით ხელი შევუწყოს სააკაშვილის ძალადობრივი სისტემის რეანიმირებას და მის მოზრუნებას 2020 წელს. მე არ მინდა იმ ძალადობრივ სისტემას მივცე შანსი, რომ მოტრიალდეს ისევ და ისევ ხელში აიღოს ძალაუფლება. ამიტომ, ჩვენ უნდა დავინახოთ ჩვენი შემდგომი ნაბიჯები, როგორი უნდა იყოს. მე პირადად ავიღებდი რამდენიმე დღეს იმისთვის რომ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღოთ და ერთად გავრძელებას, ქართულ ოცნებას ვგულისხმობ, იმ პარტიას, რომლის დამფუძნებელი ვარ, რომელიც 7 წელია ჩემ ხელში ფორმირდება, თუ ვერა. ჩემთვის ძალიან ემოციური პროცესია, მაგრამ არის გადაწყვეტილების ეტაპი. ამიტომ რამდენიმე დღეს ავიღებთ ამისთვის“...



სურველთა ოკუპანტებმა სათვალთვალ კოშკის დაგონება დაიწყეს

სურველთაში რუსმა ოკუპანტებმა სათვალთვალ კოშკის დამონტაჟება დაიწყეს. ამ წუთებში მავთულხლართების მეორე მხარეს საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები იმყოფებიან. მათ ადგილზე მძიმე ტექნიკა მიიყვანეს. როგორც ხურვალეთის ხანდაზმულთა თავშესაფრის დირექტორი ლიდა სალია აცხადებს, ოკუპანტები სამუშაოებს გუშინ, 6 თებერვალს აწარმოებდნენ.



არ აპყვებით სხვა ქვეყნის პროპაგანდისტულ რიტორიკას და დაველოდებით შეხვედრის შედეგებს!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, „საბაჟო ადმინისტრირებისა და ტვირთბრუნვის მონიტორინგის ძირითადი მექანიზმების შესახებ“ 2011 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების იმპლემენტაციის ეტაპი და ქართული მხარე სწორედ წლების წინ გაფორმებული დოკუმენტის შესაბამისად მოქმედებს. აბაშიძე იმედოვნებს, რომ საზოგადოება რუსულ პროპაგანდისტულ რიტორიკას არ აპყვება და დაგეგმილ შეხვედრას დაელოდება. „იმედოვნებ, არ ავყვებით სხვა ქვეყნის პროპაგანდისტულ რიტორიკას და დაველოდებით შეხვედრის შედეგებს. ქარ-

თული მხარე იმოქმედებს 2011 წლის შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით. როგორც 2011 წლის შეთანხმების სახელწოდებებიდანაც ჩანს, საუბარია ორ ქვეყანას, საქართველოსა და რუსეთს შორის ტვირთების საბაჟო ადმინისტრირებასა და მონიტორინგზე, რასაც განახორციელებენ შვეიცარიული კერძო კომპანიის წარმომადგენლები. მინდა, საზოგადოებას, რომ არ არის საუბარი მებრუნებზე, საუბარია კერძო კომპანიის ექსპერტებზე. შეთანხმებით განსაზღვრულია საკმაოდ უზუსტად, თუ სად უნდა განთავსდეს მონიტორინგის ტერმინალები და ამის თაობაზე არსებობს კონკრეტული მოცემულობა“, — განაცხადა, ზურაბ აბაშიძემ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც შესაძლოა ოკუპირებულ ტერიტორიების გავლით ტვირთების ტრანზიტის დაწყება, ზურაბ აბაშიძე განმარტავს, რომ შეთანხმება არ გულისხმობს დერეფნების ავტომატურ გახსნას. „ზოგადად, ამ კორიდორების გახსნა არ გახსნა სხვა საკითხი და თუ მომავალში მიიღება გადაწყვეტილება ამის შესახებ, ეს ცალკე პოლიტიკური ნაბიჯი იქნება“, — დასძინა ზურაბ აბაშიძემ. ცნობისთვის: გუშინ ჟენევაში ტვირთების მონიტორინგის თემაზე ქართულ-რუსულ-შვეიცარიული ერთობლივი კომისიის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ქართული მხრიდან შეხვედრაში შემოსაუღების სამსახურის, საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა და სამინისტროების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ეს კომპანია უნდა გააკეთოს!

კომპანია, რომელიც გლდანის მე-6 მიკრორაიონში პარკს აშენებდა, უნდა გაეაქვეთა, – ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა განაცხადა. კალაძის თქმით, ასეთი კომპანიები დედაქალაქის მთავრობასთან ვერ ითანამშრომლებენ, ვინაიდან ეს არის თბილისის მოსახლეობის აშკარა შეურაცხყოფა.

– რადგან ეკოლოგიაზე ვსაუბრობ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სკვერების და პარკების მოწესრიგება, არსებულის რეაბილიტაცია და ახალი საქალაქო პარკების შექმნა-მშენებლობა. გამგებობები აქტიურად მუშაობენ სკვერების მოწესრიგებაზე და მოწესრიგებაზე. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო გლდანის მე-6 მიკრორაიონში, სადაც ჩვენ პარკის მშენებლობა გასულ წელს დაიწყეთ. ყველა ამ პროექტის განხორციელების დროს ჩვენ გვყავს კონტრაქტორი კომპანიები, რომლებიც ტენდერის გზით დგინდება. საშუალოდ, არსებობენ ისეთი კომპანიებიც, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ქალაქს და მის განვითარებას. რატომ ვსაუბრობ ამ პროექტზე? ჯერ ერთი, სამუშაოები უნდა დაესრულებინა ნოემბერში და ვერ დაასრულა. გარდა ამისა, ზედამხედველობის სამსახურმა მთელი რიგი სამუშაოები გააჩერა. მინდა გაჩვენოთ ფოტოები და უბრალოდ გული დაგეწვებათ, თუ რა სამუშაოები არის გაკეთებული და როგორ უბასუხისმგებლოდ მოიქცა ეს კომპანია. საზოგადოებას უნდა მივანოვოთ ინფორმაცია და ვაჩვენოთ, როგორი მიდგომა და დამოკიდებულებაა. ქალაქი არ უნდა გიყვარდეს, გული არ უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ასეთი დამოკიდებულება გქონდეს თბილისთან მიმართებაში. ეს მართო გლდანისთვის ხომ არ კეთდება? ჩვენ ვამბობთ, რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას მწვანე სივრცეები და ყოველთვის ვუსვამთ ხაზს ხარისხს. დღეს გაკეთებულის ხვალ და ზეგ ისევ გაკეთება არ უნდა გვიწევდეს. მინიმუმ რამდენიმე ათეული წელი ხომ უნდა გაუძლოს იმან, რაშიც დღეს თანხები იდება? ასეთი დამოკიდებულება და მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია და პირდაპირ ვამბობ – ასეთი კომპანიები დედაქალაქის მთავრობასთან ვერ ითანამშრომლებენ...

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება

მიმდინარე წლის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი, რომელიც თბილისში განხორციელდება, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობის რეაბილიტაციაა, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, შენობაში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, სარეაბილიტაციო სამუშაოები მაქსიმალური ყურადღებით ჩატარდება.

„ეს შენობა-ნაგებობა 200 წელს ითვლის და ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობაა თბილისში, რომელმაც ბევრი ქართველი გამოიარა, ბევრჯერ შეიცვალა გასულ საუკუნეში თავისი იერ-სახე. სწორედ მის თავზე აღიმართა პირველი რესპუბლიკის ეროვნული დროშა. დღეისთვის, სასახლე მართლაც მძიმე მდგომარეობაშია. ამიტომ, მივიღეთ შენობის რეაბილიტაციისა და მოწესრიგების გადაწყვეტილება. სასახლეს დღეს საუკეთესო ფუნქცია აქვს – ემსახურება ბავშვებს და კიდევ დიდხანს მოემსახურება, თუ სათანადოდ ვუპატრონობთ“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

„პროექტის ღირებულება 599 000 ლარია. ჩვენ პროექტს ეტაპობრივად მივიღებთ, რომ 2019 წელსვე დაიწყოს სამუშაოების განხორციელება. პირველი აქცენ-



ტიქნება ფასადის აღდგენაზე და შემდეგ, შიგნითაც მასშტაბური სამუშაო იქნება ჩასატარებელი.

მერიის შესახებ სემსახურს ტურიზმის განვითარების მიმართულებით მუშაობის გააქტიურება დაევა

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ანდრია ბასილაიას დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, მუშაობის გააქტიურება დაევა.

– მე შექონდა პრემიერთან საუბარი, რომ თბილისის სხვადასხვა პლატფორმაზე პოზიციონირება უნდა მოხდეს, რათა ტურისტებს ავუხსნათ, რამდენად მიმზიდველი და საინტერესოა ჩვენი ქალაქი. მინდა, დავევალო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ანდრია ბასილაიას, რომ სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა ამ მიმართულებით და ყველა რესურსი გამოიყენოს ტურიზმის მიმართულებით, გასავითარებლად. ვაჩვენოთ მსოფლიოს, რამდენად ლამაზია ჩვენი ქალაქი და რამდენად მდიდარია მისი კულტურა, რომლითაც თითოეული ჩვენგანი ვამაყობთ. გვაქვს ბევრი ღირსშესანიშნაობა, სტუმარმასპინძლობა, რომელთა პოპულარიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია. მაქსიმალურად უნდა ვიაქტიუროთ იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი წარმოდგენილი იყოს, როგორც საუკეთესო დედაქალაქი, რაც შეიძლება მეტი ტურისტი ჩამოვიდეს და მეტი დრო გაატაროს აქ. ტურიზმიდან შემოსული თანხით კი, მოგვეცემა შესაძლებლობა, სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები დავაფინანსოთ“, – განაცხადა თბილისის მერმა.

თუ დაავადებულ ფიჭვებზე ზრუნვა დღესვე არ დაიწყეთ, სერიოზული პრობლემის წინაშე დავდებით

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, თბილისში დაავადებული ფიჭვების მოჭრა და მათი ახალი ხე-

მცენარეებით ჩანაცვლება აუცილებელია იმისთვის, რომ ქალაქი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე არ დადგეს.

როგორც კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, დედაქალაქში ხე-მცენარეების მდგომარეობა საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა.

„დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გამო-სასწორებლად ძალიან ბევრს მუშაობთ, სხვადასხვა პროექტებს ვახორციელებთ. მინდა, მოსახლეობას ინფორმაცია მივაწოდო დაავადებულ ფიჭვებთან დაკავშირებით. გასულ წელს ჩვენ ჩამოყვანილი გვყავდა საერთაშორისო ექსპერტები, რომლებმაც კვლევები ჩაატარეს და არსებული მდგომარეობა შეისწავლეს. შედეგებმა აჩვენა, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს ქალაქში და თუ დღეს კონკრეტული ნაბიჯები არ გადავდგით, შეიძლება ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დავდეთ. შესაბამისად, „ეკოსერვის ჯგუფი“ უკვე სანიტარიულ ჭრებს ახორციელებს. დედაქალაქის მასშტაბით, ჯამში, ათასობით დაავადებული ფიჭვი მოიჭრება და მათი ახალი ხე-მცენარეებით ჩანაცვლება მოხდება“, – განაცხადა თბილისის მერმა.

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ დამატებით 17 ოჯახს საცხოვრებელი ფართობებს სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადასცემს

დედაქალაქის მერია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ დამატებით 17 ოჯახს საცხოვრებელი ფართობებს სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად გადასცემს, – ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, თბილისის მთავრობა დაზარალებული ოჯახების პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავს.

„იცი, ჩვენი დამოკიდებულება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების მიმართ. ამ მიმართულებით უკვე კონკრეტული ნაბიჯები გვაქვს გადადგმული და ვცდილობთ, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარდეს. დღეს მთავრობის სხდომაზე გამოგვაქვს საკითხი, რომლის მიხედვითაც, კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული კიდევ 17 ოჯახს საცხოვრებელი ფართობები სიმბოლურ თანხად – ერთ ლარად გადაეცემა“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, პირველ რიგში, საცხოვრებელი ფართობით იმ ოჯახების დაკმაყოფილება მოხდება, რომელთაც ყველაზე მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვთ.

დაბრკობებითი პენსია: ფონდი მილიონებს აბრკობებს...



1 თებერვლის მდგომარეობით, საპენსიო ფონდში შეგროვილი თანხა თითქმის 29 მილიონ ლარს შეადგენს. როგორც საპენსიო სააგენტოს დირექტორმა ლევან სურგულაძემ უთხრა რადიო „თავისუფლებას“, თანხა სწრაფად იზრდება და წინასწარი ინფორმაციით, თვეში 35-40 მილიონ ლარის მოზილიზებაა შესაძლებელი.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში საპენსიო ფონდში 1,5 მლრდ ლარის მოზილიზებას ელოდებიან. რაც შეეხება კომპანიებისა და ინდივიდების რიცხვს, სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით:

- სახელმწიფომ წარმოადგინა დაახლოებით 270 000-კაციანი სია, რომელშიც სახელმწიფო კომპანიებში დასაქმებულები შედიან;
- 30 ათასმა კერძო კომპანიამ უკვე გააკეთა განაცხადი ახალ საპენსიო სისტემაში ჩართვის თაობაზე;

● სააგენტოსთვის ჯერჯერობით უცნობია, კერძო სექტორში დასაქმებული რამდენი ადამიანი უერთდებოდა საპენსიო სისტემას, რადგანაც დეკლარაციების დასურვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

● ჯერჯერობით ვერ ხერხდება ინფორმაციის დამუშავება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. სააგენტოში ჯერ არ იციან, სისტემაში ჩართულთა შორის რამდენ ადამიანს შეუსრულდა 40 წელი 2018 წლის 6 აგვისტომდე.

● შესწორედ ის კატეგორიაა, რომელსაც სამთვიანი სავალდებულო გადახდის შემდეგ, შეუძლია გამოეთიშოს საპენსიო სისტემას;

● ამისათვის, საჭიროა საპენსიო სააგენტოს სახელზე შესაბამისი განცხადების დაწერა 1 აპრილიდან 31 მაისამდე.

თუკი ბევრმა მოინდომა გასვლა, ეკონომისტების აზრით, შესაძლოა, საპენსიო სისტემა მნიშვნელოვნად დაზარალდეს.

საპენსიო ფონდის დირექტორი ლევან სურგულაძე იმედოვნებს, რომ 40 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების დიდი ნაწილი არ დასურავს პირად ანგარიშს საპენსიო ფონდში.

„არა მგონია, რომ ბევრი გამოეთიშოს, რადგან ჩვენ მაქსიმალურად მივანოვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ეს ძალიან კარგია მათთვის. იმედი გვაქვს, რომ ცოტა ადამიანი წავა“, – უთხრა სურგულაძემ რადიო „თავისუფლებას“.

საპენსიო თანხების დაგროვების პირველი თვის, იანვრის, ზუსტ მაჩვენებლებს სააგენტო 10-15 თებერვლისთვის შეაჯამებს.

ლელია კუნჭულია

ემიგრანტებო, თქვენ უმონყალოდ ბაბრიყვებენ!



ძარბაზილი საზოგადოება 10 თებერვლის მოლოდინშია. სწორედ 10 თებერვალს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბელგიაში, ქალაქ ლიეჟში ატარებს ე.წ. სრულიად ქართველთა კონგრესს, ანუ, როგორც თვითონ ეძახის, ქართველ ემიგრანტთა თავყრილობას, სადაც მოძრაობის „ერთად სახლში“ ფარგლებში სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების (ემიგრანტებთან ერთად) სცენარი უნდა გაცხადდეს.

მრავალგზის მითქვამს: ყველა ემიგრანტს აქვს უფლება, დაბრუნდეს საკუთარ სამშობლოში, როცა მას მოესურვება, მაგრამ მათ გაბოროტებული სააკაშვილის ჯავშნის ფუნქცია არ უნდა იტვირთონ და თეთრ რაშზე ამხედრებული ექსპრეზიდენტი სიტუაციის ასარეგავად არ უნდა ჩამოიყვანონ საქართველოში. ეს არა მარტო ლოგიკას მოკლებული, არამედ ერთობ საშიშია საკუთარი ქვეყნის პერსპექტივისთვის!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ცნობილ ავანტიურისტთან, რომელმაც უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, მეზობელ უკრაინაში პოლიტიკურ ჯამბაზად მოგვევლინა და თავისი იაფფასიანი „ტრიუკებით“ საკუთარი თავი პოლიტიკურ მძევლად აქცია — ჩვენთვისაც საკმაოდ ამაზრზენი სანახავი იყო სახურავზე ამხედრებული და მინაზე მრავალგზის ნახობილენი სამარცხვინო ექსპრეზიდენტი.

თუმცა, ასე არ ფიქრობს გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე, ერთ დროს პოლიტიკოსად ნოდებულ ვალერი გელბახიანი, რომელმაც ტელეკომპანია „კავკასიის“ ერთში განაცხადა, რომ მან სააკაშვილში არა ლიდერი, არამედ გმირი დაინახა, რომელიც დიდ მობილიზაციას აკეთებს უცხოეთში... „ქართველი, რომელიც მოახერხებს ჩვენი ემიგრაციის მობილიზებას, ის უკვე ლიდერია“.

გელბახიანი უფრო შორს მიდის და ივანიშვილს (შესაბამისად, საზოგადოებასაც) ამუხრატებს, რომ „აქ აღარ არის უკვე არჩევნები საჭირო და ეს საგანგაშო ფაქტი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის“.

დავუშვათ, ივანიშვილი მზად არის, დააბრუნოს მიშას ხელისუფლება და ეს ნინასნარ დადგომული სცენარის ნაწილად ჩამოვალთ, მაგრამ ჩვენ, ძარბაზილი ხალხს არაფერს გვამჩიებს ბატონი ვალერი გელბახიანი, როცა არჩევნების აუსცილბლოგასაც გამორიცხავს ხელისუფლების შესაცვლელად?

რა გამოდის? მიშა, რომელიც ემიგრანტების „ქოლგის ქვეშ“ აპირებს საქართველოში შემოდროს, მხურვალე ტაშით უნდა მივიღოთ და ხელების აწევით (უსიტყვო კამიტულაციით) დაველოცოთ გზა ხელისუფლებისკენ?

კაცი, რომელიც საკუთარ თავს პოლიტიკოსად მიიჩნევს (გელბახიანს ვგულისხმობ) ასეთ ალოგიკურ „სეფესტიკვას“ რომ დააბრუნებებს, საერთოდ არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია პოლიტიკოსობაზე. თუმცა, ქრონიკულად არამყარი პოზიციების მქონე გელბახიანისგან ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის!

იგივე ითქმის გუბაზ სანიკიძეზეც, რომელმაც თავის დროზე ივანიშვილის ნავში ჩასხდომის მთავარ მიზნად გამოიღონერება დაასახელა. ნამდვილად არ ვიცი, იშვიათ თუ არა ბატონმა გუბაზმა ნანატრი ილიონი, მაგრამ თავისი „არაორდინარული“ გამოსვლებით, პოლიტიკური პროსტიტუციის ქაობში რომ ამოყო თავი, ალბათ, საკამათოდ არავის ეჩვენება.

გუბაზ სანიკიძე ის კაცია, რომელმაც ჯერ ტრადიციონალისტებში მოსინჯა საკუთარი ძალა, მერე „ეროვნული ფორუმის“ სათავეებთან დადგა, ახლა კი ნინო ბურჯანაძეს შეეკედლა... თუმცა, მისგან არც ტრადიციების ერთგული გამოდნა და არც ეროვნული იდეების სმალამოღებული მხედარი... დღეს იგი მიშას იდეების გამარჯვებულ-დამცველთა რიგში მოგვევლინა და მიშას და ნიკას პატრონაჟით გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი დროშა უჭირავს.

ძალიან მეცოდება ასეთი პოლიტიკოსების ხელში დღევანდელი საქართველო!

ახლა კი ისევ ლიეჟს და 10 თებერვალს მივუბრუნდეთ, სადაც მიშას ფანატები იკრიბებიან და საქართველოზე „გამოლაშქრებას“ აპირებენ. თუმცა, სანამ ლიეჟის შედეგების ნინასნარ პროგნოზირებას გავაკეთებდეთ, სჯობს „აქცენტებში“ სააკაშვილის მიერ გაჟღერებული „მარგალიტები“ გავშიგროთ.

„ქართული ოცნება“ უკვე მე-7 წელია, სააკაშვილის რეჟიმის დაბრუნების მუქარით მუდმივ სტრესში ამყოფებს საზოგადოებას. ამ მეთოდით მიიღო მან საკონსტიტუციო უმრავლესობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში და იგივე მუქარით გააბრუნებინა პირველ ტურში განხილული სალომე ზურაბიშვილიც...

საკაშვილი „გვარნმუნებს“, რომ ოლიგარქმა ივანიშვილმა „მიიტაცა“ საქართველო, ხელში ჩაიგდო ყველა სტრატეგიული რესურსი, მონოპოლია აიღო საბანკო სისტემაზე და ახლა ანაკლის მშენებარე პორტის ხელში ჩაგდებასაც ცდილობს!

საკაშვილი იმასაც გვახსენებს, რომ ივანიშვილის ზეობის პერიოდში მაქსიმალურად გადატაკდა ხალხი, გაორმაგდა უმუშევრობისა და მაქსიმალური სიდუხჭირის გამო უცხოეთში გაქცეულთა რაოდენობა და არის საშიშროება, რომ მათი ადგილები აფრიკაშიდან გადმოხვენილმა მიგრანტებმა დაიკავეთ (გაეროს მიგრაციის პაქტი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ მონაწირობა ხელი)! როგორც ექსპრეზიდენტი ამბობს, დღეს საქართველო „ვენესუელურად ვითარდება“, მაგრამ იგი ამას არ შეურიგდება — გარედან ცდილობს შეარყიოს ივანიშვილის რეჟიმი და მის მხარდამჭერ ქართველ ემიგრანტებთან ერთად დაუსვას წერტილი ქართველი ოლიგარქის „ბატონობას“ საქართველოში!

მიუხედავად იმისა, რომ ნინასნარ ცრემლებს აღვარდვარებს და საქართველოს ბედით „გულდათუთული“ 10-მილიარდიანი ინვესტიციით ქვეყნის აყვავებას გეპირდება, მი-

შას მიხეც არ დაეჯერება! ჯერ ერთი, 10 მილიარდს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე კერძო პირს არავინ მისცემს, მეორეც, მისი ამ სატყუარით ემიგრანტებთან ერთად საქართველოში შემოშვება ნიშნავს ახალ არეულობას ქვეყანაში — ხელისუფლების დამხობას, ან დამხობის მცდელობას, რომელიც ქვეყნისთვის დამანგრეველი იქნება!

ის, რომ დღევანდელი ხელისუფლებამ არ გაამართლა ხალხის იმედები, არ ნიშნავს სააკაშვილის რეჟიმის დაბრუნებას — მითუმეტეს, დაბრუნებას ძალადობრივი გზით.

მიუხედავად სააკაშვილის ჩვეული რიტორიკისა, რომ ივანიშვილმა მოიპარა (გააყალბა) არჩევნები, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმაც დაადასტურა, რომ გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტების შიშით ხალხმა მობილიზება გააკეთა და სალომე ზურაბიშვილი გააპრეზიდენტა. ანალოგიური შედეგი აჩვენა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმაც. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ჰყავს თავისი მუდმივი ელექტორატი, თუმცა, მათი რაოდენობა საკმარისი არ არის არჩევნების (მშვიდობიანი) გზით ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ სააკაშვილის ორგანიზებით ჩატარებულ შეხვედრას ბრუკლინში და მის პირდაპირ ჩართვას ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საავტორო გადაცემაში „აქცენტები“.

ის, რომ სააკაშვილი თვითპირის დიდოსტატია, ახალი არ არის. არც ის არის ახალი, რომ მას ემოციური ზემოქმედება შეუძლია ადამიანებზე, განსაკუთრებით იმათზე, ვინც დღესაც აფანატებს სააკაშვილზე, ვინც თავის დროზე სარგებლობდა მისი რეჟიმის სიკეთით ან ვისაც არ მოსწონს დღევანდელი ხელისუფლება და სხვა პოლიტიკურ ძალასაც ვერ ხედავს...

ფაქტია ისიც, რომ ბოლომდე გაკოტრებული, ხელმოცარული ოპოზიცია ეშმაკსაც კი შეეკვრება, ოღონდ, რალაც პერსპექტივა დაინახოს ხელისუფლებაში მოსასვლელად და პოლიტიკურ ზედაპირზე ისევ იტივტივოს.

საკაშვილის განცხადება: მასთან ჩასული იყვნენ ოპოზიციის ლიდერები და „რუსთავი-2“-ის პატრონაჟით ოპოზიციურ პარტიას მრგვალი მაგიდის მოწყობა ლოზუნგით „ყველა ერთის წინააღმდეგ“ (ეს „ერთი“ „ქართული ოცნებაა“, ეტყობა, „პატრიოტებს“ ისინი ოპოზიციურ პარტიად არ განიხილავენ) გვაფიქრებინებს, რომ სააკაშვილი სერიოზული რევანშისტის ემზადება — ემიგრანტების ზურგს უკან ამოფარებით და ოპოზიციურ პარტიას მხარდაჭერის

მანიპულირებით იგი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომ ხელისუფლებაში მისი დაბრუნების დრო მოვიდა!

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი არაადეკვატური განცხადება: „72-საათიანი ჩემი შემოვლა საქართველოში და ივანიშვილი დამთავრებულია“.

მე არ ვიცი, როგორ მოახერხებს საქართველოს საზღვრის უპრობლემოდ გადაკვეთას ძებნილი ექსპრეზიდენტი, მაგრამ მისი ქვეყანაში შემოსვლა, მითუმეტეს, ემიგრანტების ჯგუფთან ერთად, სიტუაციას ქვეყანაში სერიოზულად რომ არეცხ, საკამათოდ არ მეჩვენება — დარწმუნებული ვარ, ე.წ. „რევოლუციური სცენარიც“ უკვე დაწერილია. ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი მხოლოდ საზოგადოების განწყობა შეიძლება იყოს, რადგან არც იმის გამოიცხვება შეიძლება, რომ დღევანდელ ხელისუფლებასთან ნინასნარ შეთანხმებული თამაშის მსხვერპლი გავხდეთ (ნიშანდობლივია ისიც, რომ სააკაშვილის მიერ ლიეჟში ორგანიზებული ე.წ. „მსოფლიო კონგრესის“ მიღმა რუსული კვალიც იკვეთება)!

იმდენად „თამაში“ და აბსურდული იყო მისი რიტორიკა „აქცენტებში“, ყველა ნიუანსს არ განვიხილავ, თუმცა „ფრინად საყურადღებოა“ მისი დამოკიდებულება „ლაზიკის“ პროექტის მიმართ.

როგორც ჩანს, სააკაშვილს ყველაზე მეტად სწორედ „ლაზიკის“ პროექტის „დამწილვა“ უწვრილებს სულს — დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ მას სხვა თანამდებობა არ აინტერესებს და მხოლოდ „ლაზიკის“ პროექტის ბოლომდე მიყვანითაა დაინტერესებული, რომელიც, მისი თქმით, სამეგრელოს ააღორძინებს.

ამ ფონზე შემთხვევითი არ არის ექსპირველი ლედის სანდრა რულოვსის ზუგდიდში გამერების მცდელობაც!!!

მიუხედავად იმისა, რომ ნამეტანი გულჩვილი ალმოგონდით მეგრელები და ჩვენდა სამწუხაროდ, სამეგრელოში მიშას დღესაც ჰყავს საკუთარი ელექტორატი, არა მგონია, მრავალჭირგადანახადი სამეგრელო კიდევ ერთხელ მოტყუდეს და „რევოლუციური“ კოცონი ახლა ზუგდიდიდან აგიზგიზდეს!

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ცოცხების“ მშვიდობიანი რევოლუციით გაგდებული სააკაშვილი (იგულისხმება რეჟიმი) დღევანდელი ხელისუფლების ცოცხებზე შემოსებით იმუქრება: „ცოცხებით გაგვცემათ თქვენ ხელისუფლებიდან, ცოცხებზე შემოგვავით და გაგაფრენთ საქართველოდან“. სხვათაშორის, თუ მისმა ავანტიურამ კარგად იმუშავა და ხელისუფლებაში დაბრუნდა, „ქართულ ოცნებას“ დაპირებულ საჩუქარს ნამდვილად არ დაამადლის, თუმცა, უკეთეს დღეში არც მისი დღევანდელი ოპონენტები აღმოჩნდებიან.

კიდევ ვიმეორებ: არ ვაპირებ ყველა იმ „მარგალიტის“ კიდევ ერთხელ სამზოვო გამოტანა-განქიქებას, რაც ბოლო დღეებში სააკაშვილისგან მოგვისმენია, მაგრამ აუცილებლად უნდა დავსვა რამდენიმე ლოკური კითხვა:

რატომ ფიქრობს ემიგრანტთა ნაწილი, რომ „ერთად სახლში“ ლოზუნგის ქვეშ სააკაშვილის, როგორც „შეუცვლელი ლიდერის“ ქვეყანაში შემოყვანა არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა?!

რატომ არ აცნობიერებენ ისინი, რომ რევოლუციური ალტერნატივა, მითუმეტეს, როცა ამ ავანტიურის უკან „გამობრძმედილი“ რევოლუციონერი დგას სააკაშვილის სახით, გახლენილი საქართველოს კიდევ უფრო გახლენია-დაპირისპირებას გამოიწვევს და ქვეყნის საბოლოო ომს გამოიწვევს?

რატომ არ აცნობიერებენ ისინი, რომ ქვეყნის სხვა მხოლოდ ახალი, თვისებრივად განსხვავებული პოლიტიკური ძალის ფორმირებაშია, რომლის კონტურებიც შეიძლება ძალიან მალე გამოიკვეთოს?!

მივმართავ ჩემს თანამემამულეებს, ვინც სამწუხაროდ, ნამოვგო სააკაშვილის ანკვსებ და ჩართული არიან საშიშ ავანტიურაში: ვწუხვარ, რომ თქვენ არა მარტო გაბრუნებენ, არამედ უმონყალოდ გატყუებენ კიდევ! საქართველოს გადარჩენა და პოლიტიკური პროცესების ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება საზოგადოების დაპირისპირებით ვერ მოხდება — პირადი კონტაქტები და მედია-სა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები გვაფიქრებინებს, რომ თქვენს ინიციატივას ძალიან ბევრი მონინალმდგეე ჰყავს თვით ემიგრანტებს შორის. ისინი რეალურად გრძობენ იმ საშიშროებას, რაც შეიძლება მოჰყვას სააკაშვილის „მშვიდობიანი გამოლაშქრებას“ თქვენთან ერთად საქართველოში.

სჯობს, თქვენი შინაგანი რესურსები და ენერჯია ახალი, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულ ადამიანთა ერთობის ფორმირებას მოახმაროთ. სააკაშვილი გუშინდელი დღეა და მისი ხელახლა აღზევება ნგრევისა და პარტახის მეტს არაფერს მოუტანს ქვეყანას!

დაფიქრდით!

ზაურ ნაჭყვია,
ჟურალისტი



P. S. სააკაშვილი რომ ცნობილი „პიარშიკია“, ყველა დამეთანხმება, ამასთან, დაბოლების დიდოსტატიც. თუმცა, იდეების მიმთვისებელიც ყოფილა — ქართველთა მსოფლიო კონგრესის იდეა რომ უსინდისოდ მოიპარა, ამაში ახლავე დაგარწმუნებთ: ჯერ კიდევ 2015 წელს თეიმურაზ შაშიაშვილის ინიციატივით და ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერით სრულიად ახალი ფორმატით იშვა „ყოველთა

ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის“ ჩატარების იდეა. რამდენიმე წელია მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები იდეის ხორცშესახსნელად. ხვალ, 8 თებერვალს, დავითოვას, გელათის აკადემიის კედლებში აიღებს სტარტს ზემოთ ხსენებული კონგრესი, გაგრძელდება მსოფლიოს 40 ქვეყნის 85 ქალაქში და დასრულდება 2020 წლის შემოდ-

მედიკოსის ხიდის ჩაკეტვამ ე.წ. გადასასვლელების ბიზნესი ისევ აქტიური გახდა. საქმე ეხება „საზღვრის“ ოფიციალური გადასასვლელების გვერდის ავლით გადაკვეთას, რომელსაც ადგილობრივები კურირებენ. კერძოდ, რამდენიმეკაციანი ჯგუფი წინასწარ პოულობს უსაფრთხო, მესაზღვრეებისთვის უცნობ ადგილს, საიდანაც შემდეგ „საზღვარზე“ ხალხს აპარებენ. მათ „გადამყვანებს“ ან „მზვერავებს“ ეძახიან.

„გადამყვანობა“ ბიზნესად მას შემდეგ იქცა, რაც აფხაზურმა მხარემ „საზღვრის“ გადაკვეთისთვის უმკაცრესი ბიუროკრატიული ბარიერები შემოიღო.

პროცედურა თავიდან გაცილებით მარტივი იყო, რადგან ენგურის გასწვრივ მავთულხლართები არ არსებობს და ადგილობრივები ხშირად დამხმარების გარეშეც ახერხებდნენ გადასვლას.

„აქ ყველამ იცის ე.წ. შავი გადასასვლელები, რადგან ტერიტორიას კარგად იცნობენ, თუმცა ამის შესახებ რუსმა მესაზღვრეებმაც შეიტყვეს და კონტროლი გამკაცრეს, დაიწყეს ხშირი პატრულირება და დამატებს ძალები. ამის შემდეგ „საზღვრის“ გადაკვეთის შანსები შემცირდა, დაკვეთების რიცხვი კი საგრძობლად გაიზარდა. მოგესხვებათ, ყოველი დაკვეთა შესაბამისი ფულადი ჯარიმით ისჯება, ამიტომ ხალხი უკვე თავს იკავებდა. სწორედ ამ დროს გაჩნდა ე.წ. გადასასვლელების ბიზნესი. ადგილობრივები წინასწარ ზვერავენ გზას, საიდანაც უსაფრთხოდ შეიძლება გადასვლა, აგროვებენ ხალხს, შემდგომ კი ერთიანად გადაჰყავთ. გარანტირებული ბოლომდე არც მაშინ იყო „საზღვრის“ უსაფრთხო გადაკვეთა, თუმცა გამართლებებზე გადასვლას ჯობდა“, – აღნიშნავს DFWatch-თან საუბარში ადგილობრივი აკვიდრი.

მისივე თქმით, მერე ეს ბიზნესი 15 ლარი უჯდებოდა თითო გადასვლას, ახლა გაძვირდა და 80 ლარი ღირს.

ენგურზე ისევ „იატაკვეთა“ გადასასვლელების ბიზნესი ყვავის!



„მავთულხლართების გაჩენამ ეს პროცესი გაართულა. გარდა ამისა, მოსახლეობაში, ასე თუ ისე, ბევრს რაღაც საბუთი მაინც აქვს უკვე აღებული, რათა „საზღვარი“ ოფიციალურად გადაკვეთონ, თუმცა ენგურის ხიდის დაკეტვამ, ბიზნესი ისევ აქტიური გახდა, სირთულეებთან ერთად კი ამ საქმით დაკავებულებმა ფასიც გაზარდეს“.

ახალგაზრდა კაცი, გ.ბ. გვიყვება, რომ იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც ახალი წლის მერე დატოვეს გალის ტერიტორია, ყველამ 80-დან 100 ლარამდე გადაიხადა და მავთულხლართებში მოუწია გაძრომა.

„პოლონეთში წასასვლელი ბილეთები აღებული გვექონდა, გზის გახსნის შანსი კი ყოველდღიურად მცირდებოდა, ამიტომ სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა გაგვერისკა. სამინ ვიყავით, თითო 80 ლარი გადავიხადეთ მზვერავებთან. გზა მიგვითითეს, თუმცა სწრაფად მოქმედება იყო საჭირო. მაშინ არ ვიცო, როგორ გადავვიტოვო მავთულხლართებში, მხოლოდ მერე შევამჩნიე დახეული ტანსაცმელი და სისხლიანი ხელები.“

დანარჩენმა ორმა ვერ მოახერხა გამოძრომა და უკანვე მიბრუნდნენ“, – ყვება გ.ბ.

DFWatch რამდენიმე ადგილობრივს ესაუბრა, ვისაც ამ გზით ოდესღაც გადაუკვეთავს გზა.

„არანაირი საბუთი არ მაქვს გარდა ქართული პირადობისა, თუმცა ჩემი სახლი იქაა და სხვა გზა არ მქონდა, შავი გზებით უნდა შემოქმედა. ერთხელ დილიდან საღამომდე მომინია ლოდინი, რომ გადავსულიყავი. რუსები პატრულირებდნენ და გადასვლის შანსი არ იყო. უკვე შეზინდებული იყო, ათი საათი ხდებოდა, გადასვლა რომ დავაპირე. მეორე მხარეს მებობელი მელოდებოდა მანქანით. გზა არ ვიცოდი კარგად, რადგან უცხო სოფლიდან გადავდიოდი, სხვაგან შანსი არ იყო. ზუსტად მახსოვს, რვა ლობზე მომინია გადაძრომა და ვიღაცის სახლში აღმოვჩნდი. კარისკენ მივდიოდი, როცა სახლის პატრონის ხმა გავიგონე, აქედან არ გადახვიდე, რუსები დაგინახავენ და მერე ჩვენ გვეჭურბებიანო.“

„სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა ასეთი დამოკიდებულება, რადგან იქ

ყველა ერთმანეთს ესმარება, თუმცა არ დავიბენი და უპასუხოდ ისევ ლობისკენ წავედი. ეს მეცხრე ლობე იყო, რომლითაც მიტოვებულ ეზოში აღმოვჩნდი. კარი ახვეული იყო ჯაჭვით, იმაზეც ზევიდან გადავძვერი და რის ვაი-ვაგლახით სამშვიდობოს გავვდიო.

ერთ-ერთი ადგილობრივი, ახალგაზრდა ქალი, ე.წ. გადამყვანების დახმარებით გადასვლის დღეს იხსენებს.

„გადამყვანებს ერთი ადგილი (მიტოვებული ეზო) ჰქონდათ, სადაც ხალხს აგროვებდნენ და მერე ერთად გადაჰყავდათ. ერთ-ერთი მათგანი ვიყავი მეც. 15 ლარი გადაგვხდევინეს თითოს. სულ 60-მდე ვიყავით. ერთმა მზვერავმა გვაცნობა, რომ 2 წუთი გვექონდა, სანამ სამხედრო ბაზის კამერა იმ ადგილამდე მოტრიალდებოდა, სადაც უნდა გადავსულიყავით. ამის თქმა და ხალხის დაძვრა ერთი იყო. გზა მხოლოდ ერთი ბილიკი იყო, შესაბამისად, ყველა ერთმანეთის გასწვრივს ცდილობდა. მდინარეზეც მხოლოდ ერთ ადგილას იყო გადასასვლელი. ხალხი დასწრებაზე მიდიოდა, მე ბოლო აღმოვჩნდი. შუა მდინარეში ვიყავი, როცა მესაზღვრეების მანქანა გაჩერდა მდინარესთან. იმ წამს მეგონა, რომ იარაღი გაისვრიდა და მდინარეში უკვე ჩემი გვამი წარმოვიდგინე. არასდროს დამავიწყებია ბრახისგან სისხლჩაქცეული თვალები, რომელიც ამდენი ადამიანის გაქცევით იყო გამოწვეული. ერთ წამში ყველაფერი წარმოვიდგინე, როცა ერთ-ერთი გადასასვლელის ხმამ გამომაფხიზლა, წამოდი, არ გესვრიან, გაიქეცი! არ გაქეცივარ, მშვიდი ნაბიჯით ამოვედი წყლიდან და ყოველ წამს ველოდი უკან დადევნებულ ტყვიას. გადავერჩი...“

შეგახსენებთ, რომ აფხაზურმა მხარემ ე.წ. ლორის გრიპის გავრცელების თავიდან არიდების მოტივით, ენგურის ხიდი 11 იანვარს ცალმხრივად ჩაკეტა. „საზღვარი“ გუშინწინ გაიხსნა.

წყარო: DFWATCHNET

ზუგდიდი დიდი ორთაბრძოლის პოლოლინოა

სამიოდ თვეში ზუგდიდი კიდევ ერთხელ გახდება „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ორთაბრძოლის ეპიცენტრი. მას შემდეგ, რაც კორუფციული გარიგებისა და გავრცელებული აუდიოჩანაწერის გამო ჯერ გადადგა, ხოლო შემდეგ დააკავეს ზუგდიდის მერი ლაშა გოგია, მერის სავარძლისათვის ერთმანეთს ამ ორი ძალის წარმომადგენლები დაუბრისპირდებიან. სხვა პარტიებს, ასევე დამოუკიდებელ კანდიდატებს გამარჯვების შანსი თითქმის არა აქვთ.

მერის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება პირდაპირ არის დამოკიდებული შერჩეულ კანდიდატზე. ამიტომაც ამომრჩეველი მოუთმენლად ელის თუ ვისზე შეაჩერებს არჩევანს ხელისუფლება. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ამომრჩეველისთვის კანდიდატის პიროვნებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართულ ოცნებას“ ზუგდიდში რამდენიმე ტური მოუგო. მოუგო ადგილობრივი არჩევნები კორცხელში, მოუგო ზუგდიდის გამგებლის არჩევნების პირველი ტური, მოუგო საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური, ხოლო მეორე ტური სულ რაღაც ხუთასიოდე ხმით წააგო, ამიტომაც „ქართულ ოცნებას“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება სასურველი შედეგის მისაღწევად.

ზუგდიდში ჯერჯერობით სიმშვიდეა, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე მიმდინარეობს კანდიდატების შერჩევა. ვრცელდება ვერსიები.

ზუგდიდის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მაიზერ ნანავამ საბოლოოდ თვის წინათ მოადგილედ დანიშნა თუ დანიშნინეს „თიბისი ბანკის“ ზუგდიდის ფილიალის მენეჯერი გიორგი შენგელია, რომელმაც როგორც ამბობენ, კენჭი უნდა იყაროს ზუგდიდის მერობაზე „ქართული ოცნებიდან“...

სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ შემოთავაზებას ელოდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, რომელიც 2017 წელს ერთხელ უკვე იყრიდა კენჭს ზუგდიდის მერობაზე როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი და ხმების 15% მიიღო. გავრცელებული ვერსიით, მერობის კან-

დიდატად ასევე მოიაზრება ყოფილი პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ირაკლი ჩიქოვანი. იმასაც ამბობენ, რატომღაც თავს იკავებს, არადა, თუ მასსა და „ქართულ ოცნებას“ შორის შეთანხმება მოხდებოდა, ეს შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება იქნება.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ მერობის კანდიდატურის გამო პრობლემები არ აქვთ, რადგან საკმაოდ გამოცდილი ნაცები მოიაზრებიან მერობის კანდიდატებად. საუბარია სანდრა რულოვსზე, ნიკა მელიაზე, ყოფილ გამგებელ ალექსანდრე ქობალიაზე, ყოფილ საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარიაზე.

ზუგდიდის მერის არჩევნებს, ისევე როგორც გასულ საპრეზიდენტო არჩევნებს, ძალიან დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, ეს არჩევნები ერთგვარი ტესტი იქნება, თუ რა შედეგით დამთავრდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ რთული არჩევნების წინ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად დანიშნა ლირსეული პიროვნება რეზო ქობალია, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება „ნაციონალური მოძრაობისა“ და სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგე. იმედია, ბატონი რეზო ამ წარმომადგენლობაში სტრუქტურულ ცვლილებებს განახორციელებს.

ლადო ძირია, მუგდიდი



ანაკლიის პორტის კაპიტალი სრულად შეიშო

ბერმანის განვითარების ბანკმა (DEG) და ნიდერლანდების განვითარების ბანკმა (FMO) ანაკლიის პორტში ინვესტირების გადანაწილება მიიღეს.

ნ თებერვალს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ხელი მოეწერა პირველი ოფიციალური დოკუმენტი ანაკლიის პორტის მშენებლობაში ინვესტირებასთან დაკავშირებით. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმში“ გერმანიის და ნიდერლანდების სახელმწიფო ბანკების შემოსვლით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ანაკლიის პორტის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და პროექტის მშენებლობის კაპიტალიც სრულად შეივსო. როგორც ცნობილია, ანაკლიის პორტის პირველი ფაზის საინვესტიციო კაპიტალი 600 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

შეთანხმების თანახმად, DEG და FMO-ს წარმომადგენლები „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გახდებიან.

„დღეს ჩვენ კიდევ ერთ, ძალიან მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასეთი ძლიერი ბანკების შემოსვლა ანაკლიის კონსორციუმში. ორივე მათგანი ევროპის წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია. მათი მონაწილეობა კიდევ უფრო სწრაფად განვითარებს ანაკლიის პროექტს და ორი დიდი სახელმწიფოს – გერმანიისა და ნიდერლანდების მიერ ჩვენი ქვეყნისადმი მეტ მხარდაჭერას განაპირობებს“, – განაცხადა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაასრულეს ანაკლიის პორტის პროექტის დეტალური შესწავლის პროცესი. გამოიკვეთა საკითხები, რომელთა საბოლოო შეფერვა მ თებერვალს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, მთავრობასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის ერთობლივ შეხვედრაზე მოხდება და ამის შემდეგ პროექტი ფინანსურად დაიხურება. გერმანიის განვითარების ბანკი (DEG) KfW-ის საბანკო ჯგუფის წევრია. KfW არსებობს 70-წლიან ისტორიას ითვის და სახელმწიფო თანამშრომლობის პროექტებს ახორციელებს, DEG-ის ამოცანას წარმოადგენს, მნიშვნელოვან კერძო ბიზნეს ინიციატივებს შეუწყოს ხელი რეფორმების გამოტარებელ ქვეყნებში.

საპარტიო პოლიტიკა

ჩვენ თვალში ყალიბდება თვალის ერთი გადავლებით ერთმანეთს თითქოსდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა ავის-მომასწავლებელი ალიანსი, რომლებსაც ერთი საერთო მიზანი აქვთ: ესაა ქართულ-რუსეთულ ურთიერთობათა უკიდურესი დაძაბვა. ამ კავშირის ორივე ნაწილს ცეცხლივით ეწინაა ამ ურთიერთობათა დათბობის და, თავის მხრივ, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ დაძაბულობა არამც და არამც არ განელდეს და პერმანენტულ მდგომარეობაში გადავიდეს...

ვინ არიან ეს ძალები? ერთ-ერთი მათგანია მიხეილ სააკაშვილის პარტიის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი და ამჟამინდელი წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელ პერიოდში ავიწროებენ. ამის ბოლო მაგალითია საქართველოს ახლანდელ პრემიერ-მინისტრს — სალომე ზურაბიშვილს მიმართ წამოყენებული სრულიად აბრაზებული ბრალდებები: თითქოსდა იგი, საფრანგეთში გაზრდილი და პოლიტიკოსად ჩამოყალიბებული, ქართველ ემიგრანტთა შვილი, კრემლის კრეატორია. ამ აბრაზებულ ბრალდებებთან დასამტკიცებლად რა ხერხებს აღარ მიმართავენ — დიდ სიცრუესაც, შანტაჟსაც, წვრილმან თაღლითურ ცრუპენტელოზსაც კადრულობენ... ჩანაფიქრი სრულიად ნათელია — ხელოვნურად გაბერილ ანტირუსეთულ განწყობებზე დაყრდნობით როგორმე ხელისუფლების სათავეში მოქცევა. მაგრამ, მცდელობა ამო გამოდგა: პრეზიდენტის არჩევნების გადაწყვეტ დღეს ქართველმა ამომრჩეველმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ — წარსულში დაბრუნების გზა დაგმანულია!

ქართულ-რუსეთულ ურთიერთობათა დაძაბვით დაინტერესებულ მეორე ძალას კი საქართველოს გამოყოფილი სეპარატისტული რეჟიმების ლიდერები წარმოადგენენ. ამ ურთიერთობებში მცირედედა პროგრესი, ნებისმიერი წინსვლა კომპრომისივით სავსეა. მათ ცხელია, რომელიც მათ კეთილდღეობას, ძალაუფლების დაკარგვას უქადის. ამი-

ტომაცაა, რომ ვითარების მათთვის არასასურველი გზით განვითარების აღსაკვეთად, ისინი ნაცად ხრიკებს — სიცრუეს, ცილისწამებას და შანტაჟს იყენებენ.


უცნაური ალიანსიაო, შეიძლება თქვას მავანმა, თუმცა კი, სიმართლე რომ ვთქვათ, უცნაური ამაში არაფერია — არც სეპარატისტებს, არც ოპოზიციონერებს სხვაგვარად მოქმედება არ შეუძლიათ, რადგან საერთო ინტერესები აქვთ. მათი მიზანია, საქართველოსა და რუსეთის საზოგადოებრივი აზრები ერთმანეთის საპირისპიროდ განანწყონ, ერთგან ანტირუსეთული განწყობა გააღვივონ, მეორეგან — ანტიქართული. განა ამ მიზანს არ ემსახურება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების ხელით მავთულხლართის გადმოწევა რომელიმე სეპარატისტული რუკებით? ისინი გაიძახიან, თითქოსდა ადმინისტრაციული საზღვარი იმ-

დროინდელი გორის და ცხინვალის რაიონებს შორის, რომელთაგან პირველი საქართველოს, მეორე კი სეპარატისტების იურისდიქციის ქვეშაა, ოდესღაც შეცდომით იყო გავლებული, რომელიც, დიახაც, სწორედ ამჟამად აღმოჩნდა. წამით დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, განა შეიძლება, რომ სასაზღვრო შეცდომები მხოლოდ გორის რაიონის სასარგებლოდ ყოფილიყო დაშვებული და არასდროს ცხინვალის რაიონის სასარგებლოდ, ძნელი დასაჯერებელია.

მაგრამ ცხინვალის რაიონის ტერიტორიის მიმართულებით მავთულხლართი რატომღაც არც ერთხელ არ გადაწეულა!

ვინ ვისი ხელით რასაც აკეთებს, უთქმელადც ნათელია! და რა რეაქცია აქვს ქართველ საზოგადოებას, ესეც ცნობილია!

ამავე „ოპერადანა“ ცხინვალის რეჟიმის ერთ-ერთი ლიდერის ენ. სამხრეთ-



ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დიმიტრი მედოევის სიტყვები, რომელმაც ცოტა ხნის წინათ გერმანული გაზეთის „ნოიეს დოიჩლანდში“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს რაიონულ ცენტრ ყაზბეგსა და ქართულ ხეობა თრუსოს, აღმოსავლეთ ოსეთის ისტორიული ტერიტორიები უწოდა, რომლებიც ადრე თუ გვიან, ოს ხალხს დაუბრუნდება. როგორც მოსალოდნელია, მედოე-

ვის განცხადება საქართველოს ოპოზიციამ მოსკოვის მზაკვრული გეგმის ნაწილად შეაფასა, რომელიც ქვეყნის დანაწევრებაზეა მიმართული. მმართველი პარტიის მისამართით კვლავ გაისმა მოქარბებული დამთმობლობის, უგერგილობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უუნარობის საყვედურები. ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა სერგი კაპანაძემ და ოპოზიციურ მოძრაობათა სხვა ლიდერებმა განაცხადეს. ცხადია, რომ მედოევის განცხადება

ცოტა ვინმემ თუ აღიქვა სერიოზულად. საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ შარცელმა მასწავლე განაცხადა, რომ ქვეყანას მოცილებული რეგიონების მიმართ ევროპული ქვეყნების პოზიცია სავსებით მკაფიოა და ცალსახა.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“, — განაცხადა კარლ შარცელმა.

მედოევის სიტყვებზე ირონიული რეაქცია ჰქონდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ვლადიმერ კონსტანტინიძეს: „თავისი შინაარსით, „ნოიეს დოიჩლანდში“ პუბლიკაცია, მისი აბსურდულობიდანვე გამომდინარე, ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ვრცელ ტირაჟირებასა და ზედმეტ ყურადღებას, მათ შორის მედიასივრცეში. გერმანული გამოცემა, რომელშიც მედოევის განცხადება იყო გამოქვეყნებული, მცირე ტირაჟით გამოდის. ის არც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, არც განსაკუთრებული რეიტინგი აქვს. ამის მიუხედავად, ბერლინში საქართველოს საელჩო გაზეთის რედაქციას დაუკავშირდა და მას სათანადო განმარტებები წარუდგინა, მათ შორის ცხინვალსა და ერთიანად ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აუხსნა მის ხელმძღვანელობას ცხინვალის რეგიონის სამართლებრივი სტატუსი“.

და მაინც, ამის მიუხედავად, ოპოზიციისა და სეპარატისტების ალიანსი, მის მონაწილეთა სურვილის, აგრეთვე ქართულ-რუსეთულ ურთიერთობათა გამძაფრების მცდელობების და მიუხედავად, ერთობ ავბედიოდა ჩანს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ძნელი განსაჭვრეტიია, თუ როგორი პროვოკაციული გამოხდომა მისგან მოსალოდნელი და რამდენად მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს ყოველივეს.

ვადიმ ანასტასიადი,
გამთ „ვეტერნი გბილისის“
მთავარი რედაქტორი



პროკონს რეალ ქვეყნებში იმობილიზაცია 2018 წელს?

2018 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებს შორის სამოგზაუროდ არჩევანი ყველაზე მეტმა ქართველმა გერმანიაზე გააკეთა. ერთ წელიწადში გერმანიაში 83 068 ქართველი გაემგზავრა. საზღვრის კვეთაზე უარი კი 271-ს უთხრეს. წლიურად ყველაზე მეტ ქართველს უარი შესვლაზე იტალიამ უთხრა. კერძოდ, 341 პირს. ამის შესახებ ინფორმაცია Forbes-ის ქართული გამოცემა ავრცელებს.

შენგენის წევრი 10 ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტმა ქართველმა იმობილიზაცია 2018 წელს:

გერმანია, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, კვიპროსი, ავსტრია. ევროკავშირის ქვეყნებიდან, ყველაზე ნაკლები ქართველი სამოგზაუროდ ისლანდიაში დადის, სადაც 1 წელიწადში 83 ქართველი გაემგზავრა. ოთხს კი შესვლაზე უარი ეთქვა.

დაპროკონს ბიორგი მამალაქის მისი მოქალაქე პოლიტიკოსი



„ცინანიდის“ საქმეზე ბრალდებულ გიორგი მამალაქის მისი მოძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ გიგატიძე აზიარებს. აჭარის საზოგადოებრივ მუშავებელთან საუბარში დეკანოზ გიგატიძე აცხადებს, რომ უკვე არის კურთხე-

ვა და ნებისმიერ მოძღვარს შეუძლია ამის გაკეთება: „როგორც მის მოძღვარს აქამდეც მქონდა ამის სურვილი“.

რაც შეეხება საპატრიარქოს განცხადების იმ ნაწილს, სადაც წერია, რომ „ნებისმიერ მღვდელმსახურს, რომელსაც მიანიჭა, რომ აღნიშნული პიროვნების ზიარება არის შესაძლებელი, შეუძლია, ეს განახორციელოს, თუმცა ეს იქნება ამ სასულიერო პირის პირადი გადაწყვეტილება და პირადი პასუხისმგებლობა“, დეკანოზი ნიკოლოზი განმარტავს, რომ ვისაც მოძღვარი აზიარებს, საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას და თავად წყვეტს აღსარების შემდეგ აზიაროს თუ არა ადამიანი, ასე რომ მისი განმარტებით, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

სიბარატი 50 თითრით გაქვირდა

სიბარატი კიდევ გაქვირდა. თითქმის ყველა სახის თამბაქოს ნაწარმზე ფასმა 50 თეთრით მოიმატა. მოვაჭრეები კი კიდევ უფრო გაქვირებას ვარაუდობენ. მწარმოებლები კი ამბობენ, რომ სიგარეტის გაქვირება 1-

ლი იანვრიდან აქციზის განაკვეთის რადიკალურ ზრდას უკავშირდება.

„აქციზის განაკვეთის ზრდა, რომელსაც პარლამენტმა გასული წლის 27 დეკემბერს დაუჭირა მხარი, თითოეულ კოლოფ სიგარეტს დაახლოებით 1,5 ლარით აძვირებს. შესაბამისად, ფასი გაიზარდა იანვარში, ახლა და მომავალშიც მოსალოდნელია, რომ ფასი დაახლოებით 50 თეთრით ან მეტით გაიზარდება“, — აცხადებს „ნეტგაზეთთან“ საუბარში „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს“ კორპორაციული დირექტორი ზვიად სხვიტარიძე.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ამბობს, რომ ევროლიბერტიზმის შესაბამისად, 2024 წლისთვის ყველა სახის თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანდათანობით მატება მოსალოდნელია, რისი მიზანიც თამბაქოს მოხმარების ზიანის შემცირებაა.



ზაზა სარალიძემ აბრუსიული, კანონსაწინააღმდეგო და შეუკანსხეყოფელი საქმიანი გამოაკლინა

საქართველოს პროკურატურის განცხადებით, გენერალური პროკურატურა ორგანიზებას გაუწევს ზაზა სარალიძისა და სამივე მიმდინარე საქმის მოქმედი პროკურორების შეხვედრას, რომელიც შედგება სამშაბათს. დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია გახდება ცნობილი როგორც თავად ზაზა სარალიძისთვის, ასევე ეცნობება საზოგადოებას.



„საქართველოს გენერალური პროკურატურა მუდმივად მზად არის კომუნიკაციისა და პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისთვის ნებისმიერ პირთან, იქნება ეს დაზარალებული, ბრალდებული თუ დაინტერესებული პირი ან თუ იმ საქმეზე. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ზაზა სარალიძის მხრიდან აგრესიული, კანონსაწინააღმდეგო და შეურაცხყოფელი საქციელის გამო, რაც ბო-

ლო შეხვედრაზეც გამოავლინა პროკურატურის ტერიტორიაზე თვითნებურად შემოჭრით, სამწუხაროდ, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მასთან კომუნიკაციის, თუმცა საქმიანი და ნორმალური კომუნიკაციის ფორმატში მზად ვართ, სამშაბათს საქმესთან დაკავშირებული ყველა

პროკურორი შეხვედეს“, აღნიშნულია საქართველოს პროკურატურის განცხადებაში.

თბილისში, სორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის დავით სარალიძის მამას სახელმწიფო დაცვის სამსახურმა მთავარი პროკურატურის ეზო ძალის გამოყენებით დაატოვებინა, რის შედეგადაც ის შეუძლოდ გახდა. სარალიძემ ეზოში დაბრუნება რამდენჯერმე სცადა და თვითდაზიანებებიც მიიყენა. ადგილზე იმყოფებოდა სასწრაფო დახმარების სამსახურიც, თუმცა მათ მომსახურებაზე უარი თავად სარალიძემ განაცხადა. ზაზა სარალიძე პროკურატურაში შალვა თაღუმაძესთან, მისი შვილის საქმის პროკურორებთან და მასზე დაწყებული გამოძიების მწარმოებლებთან შესახვედრად მივიდა.

„ბანარენი საბოლოო და ბასარეობას არ ექვემდებარება“

დამტკიცებულია, რომ საგულდაგულოდ მალავენ და ნიღბავდნენ რა თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას, განსასჯელი ბერია და მისი თანამზრახველნი ადამიანებს ტერორისტულ ანგარიშსწორებებს უწყობდნენ. დანაშაულებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მეტოდად აირჩიეს ცილისწამება, ინტრიგები და სხვადასხვა პროვოკაცია, პატიოსანი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მიმართ. იყენებდნენ რა თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას შინაგარეულში, სახეშიშროების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, განსასჯელები ბერია, მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულაძე, გოგლიძე, მეშვიკი და ვლოდიმირსკი ანადგურებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ, პატიოსან კადრებს.“

ინფორმაცია ბანსჯისათვის: 1953 წლის ივლისის პლენუმმა სათავე დაუდო, შემდეგ კი 1956 წლის სექტემბერში XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვის დახურულმა მოხსენებამ საბოლოო სახე მისცა ერთ შეუსაბამობას, დიდ შეცდომას, რომელიც დღემდე გადადის გაზეთიდან გაზეთში, წიგნიდან წიგნი: ეს არის მსოფლიოს ბერიათი შეცვლა. იმის მიუხედავად, რომ ყოველის სახელი შიგადაშვიგ იხსენიება, ამდენ დანაშაულსა და არპრესიასში მრავალრიცხოვანი ბრალდებები მაინც ძირითადად ბერიას აქვს წაყენებული, არადა, 1938 წლამდე ლავრენტის რეგიონული პარტიული მდივნის თანამდებობა ეკავა — საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი იყო და საკავშირო მასშტაბით მიმდინარე ნარე სისხლიან ანგარიშსწორებებთან არანაირად ხელი არ მიუწვდებოდა, მაშინ მას მხოლოდ საქართველოში, ჰა და ჰა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე რეპრესიებში შეიძლება დასდო ბრალი.

არადა, მრავალ ცნობაშია აღნიშნული, რომ ტერორმა კლება მას შემდეგ იწყო, რაც 1938 წლის ნოემბერში ეყოფი ბერიამ შეცვალა. ლავრენტის საქართველოში პირველკაცობისას ჩადენილი ცოდვებიც ეყოფა, ეყოფისას წუ ავიკიდებთ! ეყოფის ასე უსინდისოდ „შეცვლა“, სიკვდილით დასჯამ, მოხერხებულად აქცია ბერია განტყვევების ვაცად.

„სამართალში მიცემულმა ბერიამ, ქობულაძემ, მეშვიკმა და ვლოდიმირსკიმ ტერორისტულად მოკლეს ძველი კომუნისტი, 1902 წლიდან სკკპ წევრი, 1919 წლის მარტიდან სრულიად რუსეთის ჩკ-ს განსაკუთრებული ნაწილის უფროსი მ.ს. კედროვი (1878-1941 წ.წ.). 1921 წელს, როცა ის აზერბაიჯანის ჩკ-ს მუშაობას ამომწყდებდა, მიაკვლია, რომ ადგილობრივი ჩკ-ს თავმჯდომარის მოადგილე ბერიამ გაათავისუფლა საბჭოთა ხელისუფლების რამდენიმე მტერი და ციხეში ჩაყარა უდანაშაულო ადამიანები. კედროვმა ეს მოსკოვს, დერჟინსკის ანკობა, მაგრამ წერილი, გაურკვეველი მიზეზების გამო, უპასუხოდ დარჩა. სამოქალაქო ომის შემდეგ კედროვი მუშაობდა სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოში, რსფსრ საგეგმო კომიტეტში. 1939 წელს დაპატიმრეს, მაგრამ უზენაესი სასამართლოს სასხედრო კოლეგიამ მთლიანად გაამართლა. ბერიას მითითებით კედროვი ციხიდან არ გაუშვეს და 1941 წლის ოქტომბერში დახვრიტეს. ახალი განაჩენი გაფორმდა დახვრეტის შემდეგ, უკანა რიცხვით (ასეთი ოფიციალური ცნობა).

განსასჯელები ცემის და წამების გზით სძალავდნენ პატიმრებს ჩვენებებს. პარტიის და მთავრობის ზოგიერთ ხელმძღვანელზე (ბელახოვის, სლევბერგის და სხვათა საქმე), შემდეგ დაპატიმრებულები ბერიას ბრძანებით დახვრიტეს სასამართლოს გარეშე.

დადგენილია აგრეთვე სამართალში მიცემული ბერიას, მერკულოვისა და სხვათა არაადამიანური დანაშაულებანი სასამართლოების, შხამების გამოცდისა სიკვდილისჯილბუბზე. ისინი საიდუმლოდ იტაცებდნენ და კლავდნენ ადამიანებს.

სასამართლომ დაამტკიცა: ბერია, ქობულაძისა და გოგლიძის დახმარებით, წლების მანძილზე ბოროტად, ინტრიგულად ებრძოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს სერგო ორჯონიკიძეს, რადგან მასში ხედავდა ხელისშემშლელს მტრული ჩანაფიქრის განხორციელებაში. როგორც სასამართლომ დაამტკიცა, ს. ორჯონიკიძე ბერიას მიმართ პოლიტიკურ უნდობლობას განიცდიდა. სერგოს სიკვდილის შემდეგ შეთქმულები აგრძელებდნენ სასტიკ შურისძიებას მისი ოჯახის წევრთა მიმართ. ქობულაძისა და გოგლიძემ კონტრრევოლუციური ბოროტმოქმედებებში ყალბად დაადანაშაულეს და დაპატიმრეს, შემდეგ კი გოგლიძის თავმჯდომარეობით გამართული „განსაკუთრებული სამეულის“ გადანაცვლებით დახვრიტეს სერგოს ძმა პაპულია და რძალი ნინა ორჯონიკიძეები.

როცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, ბერიამ მერკულოვისა და ვლოდიმირსკის დახმარებით ანგარიში გაუსწორა სერგოს მეორე ძმას კონსტანტინეს. თავდაპირველად იგი საგანგებო საკრებულომ გასამართლოა „იარაღის უკანონო შენახვისთვის“ და ხუთი წლით ციხე მიუსაჯა. ვადის მოხდის შემდეგ იგი კვლავ გასამართლეს იმავე საბაბით და იმავე ვადით.

1953 წლის მარტში კ. ორჯონიკიძე მესამედ გასამართლა იმავე სსრ კავშირის შს სამინისტროს „განსაკუთ-



3. აბაჟოვი, ვ. მირკული და ლ. ბერია

რებულმა საკრებულომ, იგივე ბრალდებით, ისევე 5 წელი მიუსაჯა. ამრიგად, ეს კაცი 12 წელზე მეტხანს იჯდა უკანონოდ ცალკე საკანში.

სასამართლომ დაადასტურა, რომ ტერორისტული მკვლელობანი ხდებოდა არა მარტო თვით ბერიას დავალებებით, მისი დანაშაულებრივი ინტერესებით, არამედ სხვა შეთქმულთა „ჩანოდეებითაც“. მაგალითად, განსასჯელებმა ქობულაძემ და გოგლიძემ გააყალბეს საგამომძიებლო საქმე თბილისის ერთ-ერთი უბნის „მამუკინა დერეფნის“ (მდებარეობდა ამჟამინდელი ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩისა და მტკვრის სანაპიროს შორის, წმ. ბარბარეს ეკლესიის მიმდებარედ — ბ.ბ.) 9 მცხოვრებლის მიმართ. ყველა ისინი ყალბად დაადანაშაულეს გოგლიძისა და ქობულაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში და 1938 წლის მაისში დახვრიტეს „განსაკუთრებული სამეულის“ გადანაცვლებით („სამეულს“ გოგლიძე თავმჯდომარეობდა).

სსრ კავშირის ტერიტორიის შიგნით ბერია და მისი თანამზრახველნი მოკლებული იყვნენ რაიმე სოციალურ დასაყრდენს და თავიანთ დანაშაულებრივ გათვლებს საზღვარგარეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერაზე აგებდნენ.

დადგენილია, რომ საიდუმლო კავშირები უცხოეთის დახვეწებთან ბერიამ ჯერ კიდევ 1919 წელს გააბა, როცა ბაქოში იმყოფებოდა. მან ჩაიდინა გამცემლობა — საიდუმლო-აგენტურული სამსახური დაიწყო აზერბაიჯანის მუსავატურ კონტრდაზვერვაში, რომელიც ინგლისის სადაზვერვო ორგანოების კონტროლით მოქმედებდა. როგორც მუსავატური კონტრდაზვერვის აგენტი, აქტიურ ბრძოლას წარმართავდა აზერბაიჯანის მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. 1920 წელს ბერია უკვე საქართველოშია და კვლავ მოღალატურ აქტს სწადის: კავშირს ამყარებს საქართველოს მენშევიკური მთავრობის ოხრინკასთან, რომელიც ასევე ინგლისის დაზვერვის ფილიალს წარმოადგენდა. მთელი შემდგომი წლები, დაპატიმრებამდე კი, ბერია აგრძელებდა და აფართოებდა უცხოეთის დახვეწებთან საიდუმლო კავშირებს.

სასამართლომ დაამტკიცა, რომ დიდი სამამულო ომის დაწყების წინ განსასჯელებმა ბერიამ და დეკანოზოვმა განახორციელეს დანაშაულებრივი ღონისძიებები საბჭოთა დაზვერვის შესასუსტებლად ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, სასტიკად გაუსწორდნენ შინსახკომის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ცდილობდნენ მთავრობის ყურამდე მიეტანათ ამ დანაშაულთა შესახებ ცნობა.“

ინფორმაცია ბანსჯისათვის: არსებობს დოკუმენტი, რომ ბერიას სამსახური მუსავატელთა კონტრდაზვერვაში ოფიციალურად იყო სანქცირებული. სკკპ(ბ) ცკ-ის კანდიდატ ი.პ. პავლუნოვსკის 1937 წლის 26 ივნისს სტალინისადმი მიწერილ წერილში ნათქვამია: ორივე წლის წინათ სერგომ (ს. ორჯონიკიძე) ლაპარაკისას როგორღაც მითხრა, რომ მემარჯვენე უკოლისტები და სხვა ვიგინდარები ცდილობენ გამოიყენონ ის ფაქტი, რომ ბერია მსახურობდა მუსავატელთა კონტრდაზვერვაში, მაგრამ არაფერი გამოუვათ: სტალინმა ეს იცოდა. სტალინს მეც ვუთხარი. („ვესტნიკ არხივა პრეზიდენტა როსიისკოი ფედერაციი“. 1996 წ. №3, გვ. 164).

ბერიას სასარგებლოდ ასეთი აღიარების მიუხედავად, ი.პ. პავლუნოვსკი 1937 წლის ივნისის პლენუმზე პარტიიდან გარიცხეს, იმავე წლის 30 ოქტომბერს კი დახვრიტეს.

დადასტურებულია, რომ დიდი სამამულო ომის დროს სამართალში მიცემულმა ბერიამ ჩაიდინა მძიმე გამცემლობა. კერძოდ: 1941 წელს საბჭოთა ხელისუფლებისგან მალულად ცადა... კავშირი დაემყარებინა ჰიტლერთან. ამ მიზნით ბულგარეთის ელჩის სტიმენოვის საშუალებით ცდილობდა მოლაპარაკება დაეწყო ჰიტლერთან და ჰიტლერულ გერმანიას ცეცხლის შეწყვეტისთვის სთავაზობდა უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, კარელიის, ბესარაბიის, ბუკოვინის დათმობას. ამ ტერიტორიული დათმობებისა და საბჭოთა ხალხით დამონების სანაცვლოდ ბერიას სურდა, მიეღწია ჰიტლერთან მოლაღალტური შეთანხმებისთვის.

ომის დროს ბერიას მოლაღალტობა იმითაც გამოჟღავნდა, რომ 1942 წლის შემოდგომაზე კავკასიის დაცვის დაძაბულ პერიოდში თავისი თანამზრახველების დახმარებით ცდილობდა მტრისთვის გაეხსნა კავკასიის ქედის მთავარი გადასასვლელები, რასაც, შეთქმულთა დანაშაულებრივი ჩანაფიქრით, მტრის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაცია და იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში ბაქოს ნავთობის გადასვლა უნდა მოჰყოლოდა. სასამართლო გამოძიებამ ასევე ნათელი მოჰფინა ბერიას ღრმა მორალურ დაცემას.

მორალურად გახრწნილი ბერია თანაცხოვრობდა მრავალ ქალთან, მათ შორის, გადმობრებულ უცხოეთის დახვეწვის თანამშრომლებთან.

ამას გარდა დამტკიცებულია ბერიას მიერ ჩადენილი ანგარებიანი დანაშაულებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები. სასამართლომ დაადასტურა, რომ ბერია აუპატიურებდა ქალებს. ლაპარაკია 200-დან 800-მდე ქალბატონზე (სასამართლო ბრალდებაში „ქალების ამბავი“ 1953 წლის ივლისის პლენუმის მასალებიდან არის გადატანილი. მაშინ განსაკუთრებით სკკპ ცკ-ის მდივანმა ნ. შატალინმა აფრიალა ბერიას ჭუჭყიანი საცვლები — ბ.ბ.). მაგალითად, 1949 წლის 7 მაისს ბერიამ თავის ბინაში შეიტყუა 16 წლის მოსწავლე ვ.ს. დროზდოვა და გააუპატიურა. თანაც, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დროზდოვასა და დედამისს ფიზიკური განადგურებით დაემუქრა, თუ ისინი იჩივლებდნენ.

„სასამართლოს მიერ დადასტურებული“ ცნობა, რომ „ბერია აუპატიურებდა ქალებს“, საბოლოოდ მხოლოდ ერთ ქალზე დავიდა — ლილია დროზდოვაზე, რომელსაც ლავრენტისგან შვილი ჰყავდა, ბერია მზრუნველობდა მათზე, უზრუნველყო ბინითა და აგარაკით. დროზდოვა გარდაიცვალა 1990 წელს...“

ინფორმაცია ბანსჯისათვის: სერგო ბერია თავის წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია“ გვიამბობს ქალიშვილზე, რომელიც სინამდვილეში მართლაც იყო მამამისის საყვარელი, მაგრამ ამის შესახებ არაფერს არ უყვებოდა.

„უკვე ზრდასრული კაცი ვიყავი, მაგრამ მამასთან იშვიათი მიმდობი ურთიერთობა გვქონდა. ერთხელ თავისთან მეძახის: უნდა მოგელაპარაკო, მინდა იცოდე, რომ ქალიშვილი მყავს, პატარა ადამიანი, რომელიც ჩემთვის სულერთი არ არის. მინდა, რომ ამის შესახებ იცოდე, ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს და შენ ყოელთვის გახსოვდეს, რომ და გყავს. ოღონდ, მოდი, ამის შესახებ დედას ნურაფერს ვეტყვი...“

დედა ისე გარდაიცვალა, რომ იმ ქალზე არაფერი გაუგია. მამის თხოვნა შევასრულე. ის ქალი ვნახე, მაშინ ასე, 20 წლისა იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტისაც. საკმაოდ მორიდებული ახალგაზრდა ქალი. მისი ცხოვრება როგორღაც ვერ აეწყო, გათხოვდა, მეორე შვილი შეეძინა. ქმარი დაედუბა, მეორედ გათხოვდა. მამამისი მოსამსახურე იყო, დედა — მასწავლებელი...“

ამჟამად ჩემს ნახევარდას თვითონვე, ბუნებრივია, შეილება ჰყავს, ერთ დროს ის პოლიტიკურს წევრის (პარტიის მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი — ბ.ბ.) ვ. გრიშინის ვაჟის მეუღლე იყო. როცა გრიშინმა გაიგო, რომ მისი ვაჟი ბერიას ქალიშვილის ცოლად მოყვანას აპირებდა, გადაწყვიტა ბრეჟნევის მოლაპარაკებოდა. რამდენადაც ვიცი, ლეონიდ ილიას ძეს ამაზე ასეთი რეაქცია ჰქონდა: „კარგი, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას შვილთან, თითქოს არ იცოდე, რომ ყველაფერი ეს გაბერილი საქმეა...“

ეთერ ლავრენტის ასული გეგეჭკორი 1990-იან წლებში გარდაიცვალა.

ალეკო ასლანიშვილი.
(დასასრული მორიგ ნომერში)

ალიარება



პოეტი ნანა გვინია - „დიოსკურია-2005“-ის საპატიო პრეზიდენტი

აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის კავშირი „დიოსკურია-2005“ უკვე 13 წელია, ხელგავიანად ფუნქციონირებს, წარმატებით თავდაცვით მრავალ შუამავთარულ აქციასა და წამოწყებას.

ასლახან „დიოსკურია-2005“-ის პრეზიდენტმა თავის საპატიო პრეზიდენტად აირჩია მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ წევრი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქალაქ აბაშის საპატიო მოქალაქე, პოეტი ნანა გვინია. იგი დაავადდა „მედიკუმის“ ოქროს ვარსკვლავისა და დროშის „საკუთარი სამყაროები“ ნიშნით, მისი სახელი შეიტანეს ორგანიზაციის საპატიო წევრში.

ეს აღიარება პოეტმა ქალბატონმა მოიპოვა ქართველ-აფხაზთა შერიგების საქმეში შეტანილი ხელშეწყობის წვლილისთვის, დევნილებში სადმი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის, მათთვის განეული უანგარო დახმარებისთვის. ამასთანავე მან აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარში ააშენა დიდებული ტაძარი - მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია, სოფელს აღუდგინა ძველი ისტორიული ტიპონიმი - მაცხოვრისკარი (ყოფილი განათლებისკარი), ავტორია მშენებელი ლესეებისა.

ვაშაყობთ თქვენით, ქალბატონო ნანა, გისურვებთ წარმატებებს კეთილშობილურ საქმიანობაში - ულოცავენ მას „დიოსკურია-2005“-ის პრეზიდენტი, „ქალდეას“ აკადემიკოსი სერგო წურჭულია და „დიოსკურია-2005“-ის გენერალური მდივანი, „ქალდეას“ აკადემიკოსი გურამ კუპატაძე.

ინფორმაცია ომის (ნიკოლოზ) ფრედიანის სახელობის ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005“-ის პრეზიდენტის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქ. შერაბლო შემოქმედებითი კავშირის წევრი, კუბანის რეგიონის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნანა გვინია. მისი სახელი შეიტანეს ორგანიზაციის საპატიო მოქალაქე, პოეტი ნანა გვინია. იგი დაავადდა „მედიკუმის“ ოქროს ვარსკვლავისა და დროშის „საკუთარი სამყაროები“ ნიშნით, მისი სახელი შეიტანეს ორგანიზაციის საპატიო წევრში.

გვიარავლოს!

თავკასი

ალადაშვილის უსანაბრი ოჯახი

ის ჩემი თანამემამულეა, საქართველოს უმშვენიერესი კუთხის - ქიზიყის ღირსეული შვილი. მიხეილ (გუგული) ალადაშვილის მშობლიურმა სოფელმა არბოშიკმა ჩვენს ქვეყანას არაერთი სახელოვანი შვილი აღუზარდა - მეცნიერები, პოეტები, სხვადასხვა სფეროს ხელოვანები, სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი მუშაკები... მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ბატონ მიხეილს უკავია.



ის ამ დღეებში 91 წლის ხდება. მცხოვრები უსანაბრი ოჯახის სიბრძნით სავსე, უახლოესი ადამიანების ყურადღებით და სიყვარულითაა გარემოცული. როცა მის შრომით ბიოგრაფიას თავს გავადევნებთ, დავინახავთ მისი, რომ ის ყოფილი საბჭოთა ადამიანის ერთი რიგითი წარმომადგენელი არასოდეს ყოფილა. სადაც კი უმოღვაწეა, ყველგან შესამჩნევი კვალი დაუტოვებდა. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, რომელიც 1954 წელს დაამთავრა ეკონომისტი კვალიფიკაციით, თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო აკადემიური, ასევე სპორტული მიღწევებით. სტუდენტურ სპორტაკაიადებზე ჭიდაობაში მოპოვებული გამარჯვებისთვის თავად მამინაც დამა რექტორმა ნიკო კეცხოველმა გადასცა ჩემპიონის მედალი და სიგელი. მართალია, იგი სპორტს არ გაჰყვოდა, მაგრამ დიდი ნიკო კეცხოველის ხელით ბოძებული ჯილდოები დღესაც გულს და სიჭაბუკის წლებს უთბობს.

ბატონმა მიხეილმა თავისი ხანგრძლივი შრომითი მოღვაწეობის განმავლობაში არაერთი ხელმძღვანელი თანამდებობა გამოიცვალა. რაიონის საფინანსო განყოფილების გამგედ 7 წელი იმუშავა. იმ ხანებში ქალაქ ნითელნყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა რიგებში ირიცხებოდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები თითქმის ყოველწლიურად იცვლებოდნენ. და აი, პარტიის ნითელნყაროს რაიკომის ბიუროს რეკომენდაციით მიხეილ ალადაშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. სულ რაღაც ორ წელიწადში კოლმეურნეობა წელში გაიძვრა, გონიერი ხელმძღვანელის და კვალიფიციური კადრების ძალისხმევით სოფელი ყველა დარგში

სი სახელმწიფო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა და საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ნითელი დროშებით ჯილდოვდებოდა, თავად კოლმეურნეობის თავმჯდომარე მარე კი - დიდების ორდენით. მიხეილ ალადაშვილი მარტო მონიწივე სამეურნეო მუშაკი არ ყოფილა, იგი წარმატებით უძღვებოდა რაიკავშირის, რაიონული სტატისტიკის, სახელმწიფო დახმარების ორგანიზაციებს... უწინარეს ყოვლისა, გულმხურვალე მამული შვილი და ქართული საქმის მკეთებელი კაცი იყო - პრინციპული, მომთხოვნი, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე. და, რაც ყველაზე მთავარია, ბატონი მიხეილ წარმატებული ქართული ოჯახის თავკაცი. მისი მეუღლე, ქალბატონი კლარა ოზაშვილი ოთხი ათწლეული წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურა რაიონულ გაზეთ „შირასს“... მიხეილსა და კლარას შვილები ორი შესანიშნავი შვილი - ალექო და ლალი, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დაამთავრეს. ალექო ანესთეზიოლოგად მუშაობს ჩანაგასა და ტატიშვილის კლინიკებში, ლალი ფიზიოთერაპევტი და კერძო საოჯახო კლინიკაში არის დაკავებული. ალექო ოთხი შვილის მამაა, ხოლო ლალი ორის. ალექოს ორი ქალიშვილი საფრანგეთში ცხოვრობს ოჯახით. მამა ალადაშვილი ენათმეცნიერია, ჰყავს ორი შვილი - ელენე და დიმიტრი, მეუღლე ფრანგი ბიზნესმენია. მანანა ალადაშვილი სტომატოლოგია, მისი მეუღლე ფრანგია. ალექოს ორი შვილი კი თბილისში ცხოვრობს, თორნიკე და გვანცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ლალის ქალიშვილი რუსუდან თულაშვილი ექიმი და რეზიდენტურაში სწავლობს, ხოლო ვაჟი გიორგი ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი და სასჯელალსრულების დეპარტამენტში მუშაობს. 91 წლის ამაგდარი ქიზიყელი პაპის ძირძველ, ფუძემდებელ და წარმატებულ ოჯახს განგებამ აჩუქა ასეთი ღირსეული შთამომავლობა, როგორც სწორი გზით მავალი, სიმართლის ძიებასა და ჯაფაში გაღებული წლების საზღაური. ჯანმრთელობა და ოჯახის დღევანდელი არ მოჰკლებოდნენ ალადაშვილებს და მათი დიდი ოჯახის მონაგარს...

ნანა ჭიჭინაძე, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე

ჩვენებურები

მეგრულად აღერებული ჯაზმენი



ვერონიკაში ცნობილი ქართველი ჯაზმენი მუსიკოსი თეონა მოსია საქართველოში კონცერტს გამართავს. მუსიკოსი თეონის თაობაზე უფრო მეტი ინფორმაცია მისივე ვებგვერდზეა. თეონა მოსია საქართველოში კონცერტს გამართავს. მუსიკოსი თეონის თაობაზე უფრო მეტი ინფორმაცია მისივე ვებგვერდზეა.

- თქვენი საქართველოდან წამოსვლის მიზეზი ჯაზს უკავშირდება?
- ავსტრიაში ჩამოვედი როგორც გერმანული ენის მცოდნე. ჯაზის სიმღერა საქართველოში არ დამწყობია. ამ სფეროში მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით აღმოვეჩინე.
- როდის იწყებთ თქვენი, როგორც ჯაზმუსიკოსების კარიერა?
- მუსიკის სწავლა ვენაში, 2007 წელს დაიწყო, ადრე ჯაზთან შეხება არ მქონია. 2014 წელს დავასრულე სწავლა და შევექმენი ბენდი. 2009 წლიდან 2014 წლამდე ვმღეროდი მხოლოდ ჯაზს, Afro blues-ს, რომელიც ძალიან გავს მოხვედრის სიმღერას.
- როდის დაიბადა იდეა, რომ შეგერულენინათ მეგრული ჯაზი?
- ბავშვობიდან ჩემს დასთან ერთად ხალხურ სიმღერებს ვმღეროდი... ერთ-ერთ სტუდენტურ ჯემსეიმენზე ყველა თავისთვის ასრულებდა საკუთარ კომპოზიციას. ერთი მუსიკოსი ისე საინტერესოდ უკრავდა კონტრაბასზე, რომ მე და ჩემმა დამ იმპროვიზაცია გავაკეთეთ, შევასრულეთ მეგრული სიმღერა „მხარია“. იმდენად საინტერესო ინტერპრეტაცია გამოვიდა, რომ მეორე დღეს ჩემს დასთან და კონტრაბასთან ერთად ჩაგწერე ეს სიმღერა.
2014 წლიდან, ბენდის შექმნასთან ერთად, ნელ-ნელა დავიწყე მეგრული სიმღერა. პირველი სიმღერა იყო „ჩე ჯა“, მეორე „ერეხელი“, შემდეგ იყო „ფანდური“, რომელიც ჩემი საყვარელი სიმღერაა.
- როგორ მოახერხეთ, მეგრული სიმღერა ჯაზთან შეგეთავსებინათ?
- ქართულ ხალხურ სიმღერებზე გავიზარდე, ამიტომ სხვადასხვა კუთხის სიმღერებზე ვცადე, მიუხედავად ამისა თავი ყველაზე კომფორტულად მეგრული სიმღერის შესრულების დროს ვგრძობდი, ვფიქრობ, ძალიან მოუხდა ჯაზს.
- სხვა ქართველ ჯაზმუსიკოსებთან ერთად სიმღერაზე თუ ფიქრობთ?
- თუ შექმნა შესაძლებლობა, მივიღო მონაწილეობა რა-

იმე პროექტში, სადაც შეგძლებს თავი ჯაზმომღერლებთან ერთად სიმღერას, დიდი სიამოვნებით, თუმცა, ამ პერიოდში დაგეგმილი არ მაქვს.
- რას გვეტყვი საქართველოში დაგეგმილი კონცერტის შესახებ?
- საქართველოში ძალიან ბევრი მსმენელი მყავს და ფიქრობ, დროა, ჩემს ქვეყანაშიც ჩავატარო კონცერტი. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მხარდაჭერა და დაფინანსება არ მაქვს, კონცერტი მაინც გაიმართება.
- როგორ ფიქრობთ, როგორ მიიღებს ქართველი მსმენელი ჯაზისა და მეგრული ფილკლორის ნაზავს?
- რა თქმა უნდა, ველოდები კრიტიკასაც. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მე ამისთვისაც მზად ვარ.
- თქვენს ქალაქში, ზუგდიდში ხომ არ გეგმავთ კონცერტს?
- ზუგდიდში უკვე მქონდა ორი სოლო კონცერტი. ყველაფერი ხარვეზებთანაა დაკავშირებული, ამიტომ წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს (აუცილებელია ქართველ მომღერლებს, ხელოვან ხალხს ჰქონდეთ მხარდაჭერა ქვეყნისგან. დაფინანსების გარეშე რთულია კონცერტების გამართვა).
- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 10 წლის შემდეგ, ფიქრობთ თუ არა კარიერის გაგრძელებას საქართველოში?
- წარმოდგენილი მაქვს, რომ ერთი კონკრეტული საცხოვრებელი არ შექმნება ერთ კონკრეტულ ქვეყანაში. სანამ ენერჯია მაქვს, იმისთვის რომ ვიმღერო, ყველგან უნდა ვიყო, ყველგან უნდა ვიცხოვრო...
საქართველოში დაბრუნება ჩემთვის ახლო მომავალში წარმოუდგენელია, მიუხედავად ამისა, მაქვს სურვილი, ჩემი ქვეყნის ხშირი სტუმარი ვიყო და სხვადასხვა პროექტში მივიღო მონაწილეობა. დიდი სიამოვნებით გავსწავნიდი ზუგდიდში ჯაზის სკოლას, ყველაფერს დრო სჭირდება, მაგრამ ამას აუცილებლად გავაკეთებ.
- წარმატებებს გისურვებთ.
- გმადლობთ.

ესაუბრა მარიამ რურუა



ლეგიონერი

კარგი ამბავი

საპარტიველოს ნაკრებისა და „ბასკონიას“ კალათბურთულ თორნიკე შენგელიას უქმობა კიდევ ორი-სამი თვის განმავლობაში რომ მოუწევს, ამის შესახებ უკვე გიამბოვებ. თორნიკემ ამასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში პოსტი გამოქვეყნა და თქვა, რომ ოპერაციის გაკეთებას და სეზონის საერთოდ დასრულებას ორი-სამი თვის გამოტოვება სჯობს.

„ოპერაციის გაკეთებასა და სეზონის დასრულებას შორის 2-3 თვეში დაბრუნება მინდა ვთქვა, რომ კარგი ამბავია“, – დაწერა შენგელიამ.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა კალათბურთელმა მარჯვენა მუხლის ტრავმა გასული წლის 30 დეკემბერს ფაკუნდო კამპაცოსთან შეჯახებისას მიიღო.



„ბასკონიას“ ვებ-გვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩვენებური კონსერვატიული მკურნალობას გააგრძელებს.

ვიტალი ჯაფარიძე

დღეობა

ხარაბაძე განასხაღვია

შვეიცარიულმა „ციურიხმა“ ევროპა ლიგის განახლებულ განაცხადში ლევან ხარაბაძე შეიყვანა. შედეგად, არსებობს შანსი, რომ 18 წლის ჩვენებურმა კონტინენტის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე მიმდინარე სეზონშივე ითამაშოს.

ლუდოვიკ მანინის გუნდში ჯგუფურ ეტაპთან შედარებით სამი ცვლილებაა: ვიქტორ პალსონის, სანგონ სარისა და რობერტო როდრიგესს ლევან ხარაბაძე, ჟოელ უნტერის და იან კასაი ჩაანაცვლებენ.

შეგახსენებთ, რომ ხარაბაძე „ციურიხს“ 1.5-წლიანი იჯარით იანვარში შეუერთდა.

როგორც შეიცარიული მედია იტყობინება, მთავარი მწვრთნელი მანინი, რომელიც, სხვათა შორის, ფეხბურთელობისას ლევანის პოზიციაზე, მარცხენა მცველად თამაშობდა („ვერდერში“, „შტუტგარტში“, „ციურიხსა“ და შვეიცარიის ნაკრებში), ქართველის გარჯით კმაყოფილია.

აქვე გეტყვით, რომ ევროპა ლიგის 1/16 ფინალში „ციურიხი“ იტალიურ „ნაპოლის“ დაუპირისპირდება. პირველი მატჩი 15 თებერვალს შვეიცარიაში, ხოლო საპასუხო ნაპოლში 21 თებერვალს გაიმართება.

გიორგი შოთაძე



პირველი ნაბიჯი



პირობა უსვლელია

„მისაშვრი, გულწრფელად მოუწყვეცი ჩემი პრობლემების შესახებ და მისგან მივიღე დაპირება, რომ ეს პრობლემები აღარ იქნება“, – ამის შესახებ მოქიდავე ზურაბ დათუნაშვილმა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილთან შეხვედრის შემდგომ განაცხადა.

კითხვაზე, განაგრძობს თუ არა დათუნაშვილი ასპარეზობას, მისი თქმით, ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, რადგან გეგმა გეგმიძე და მისი გარემოცვა ისევ რჩებიან ფედერაციაში.

კობა კობახიძე

ჩოგბურთი

მხოლოდ წყვილებში

ეს ის ბასილაშვილი არ იყო...26 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე უსუსტესი და უცნაური მატჩი ჩაატარა და ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 586 140 ევრო) პირველივე წრიდან გამოეთიშა.

მსოფლიო რეიტინგში 22-ე ადგილზე მყოფი და „სოფია ოუფენზე“ მე-5 ნომრად განთესილი ბასილაშვილი გუნდში 180-ე საფეხურზე მდგარ 31 წლის გერმანელ დანიელ ბრანდსს გაეჯიბრა და მეტოქეს ფაქტიურად ვერაფერში აჯობა, თანაც, მასზე გაცილებით მეტი შეცდომა ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, ნიკოლოზს ორივე პარტიაში წველი სეტ-პოინტი ჰქონდა, თუმცა, ვერცერთი გამოიყენა და 6:7 (7:9), 5:7 ნააგო. განსაკუთრებით გულდასანყვეტი შეხვედრის მე-2 პარტია გახლდათ, რომელსაც ქართველი ჩოგბურთელი 4:0-ს იგებდა და საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა, ასეთი რამ კი კაცთა ჩოგბურთში ძალიან იშვიათად ხდება. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ თამაშის კომენტატორი ხშირ-ხშირად იმეორებდა, ეს ის ბასი-

ლაშვილი არაა, რომელმაც თავი გასულ თვეებში დაგვამახსოვრაო...

ჯამში მატჩი საათსა და 34 წუთს გაგრძელდა და ნიკოლოზს 7 ეისი და 10 ორმაგი შეცდომა ჰქონდა (გერმანელს, შესაბამისად, 11 და 4), პირველ მოწოდებას მხოლოდ 55%-ით აწოდებდა და მასზე 77% (37 48-დან) მოიგო, ხოლო მეორეზე – 43% (17 40-დან). ქართველმა ჩოგბურთელმა 6-დან 2 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად კი მოწოდება 3-ჯერ დათმო. ამგვარად, ბასილაშვილი სოფიაში



SOFIA

მხოლოდ წყვილთა თანრიგს შემორჩა და თუკი არაფერი შეიცვალა, ავსტრალიელ მეტიუ ებდენტან ერთად ბულგარელებს – დონსკისა და ლაზაროვს გაეჯიბრება.

ბაშან დოლიძე

ინტერნეტიდან

უპეისარკილთა მოტივატორი

ბოლო პერიოდში შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრებს საშინაო მატჩებზე დამსწრეთა ქომაგობა ერთიანად რომ მოუშრავლდა, ფეხბურთის სპეციალისტებს ეს მხოლოდ იქაურ მოთამაშეთა კარგი გარჯის დამსახურება ჰგონიათ. არადა, მათ სულ ავიწყდებათ ტრიბუნაზე მუდმივად მყოფი ლამაზმანი, რომელიც მთელი ნაკრების თუ

არა, ქომაგთა და კონკრეტულად, ერთი ფეხბურთელის მოტივატორი ნამდვილადაა.

საუბარია ალბანელ ლამაზმანზე, ევროპაში მრავალგზის აღიარებულ ფოტომოდელ ეროინა სულეიმანიზე, რომელიც შვეიცარიის ნაკრების მოზურთაღის ბლერიმ ჯემაილის მეუღლე გახლავთ და როდესაც ბლერიმი მინდორზე ან სათადარიგოთა სკამზეა, არაფერი სჯობს საგულ-შემატკივროდ აღვრდები მიხისი ხელიხელსაგომანები მეუღლის ხილვას.

ერიონა სულეიმანი, როგორც უკვე გითხარით, აღიარებული ქალია და მოდელთა სამყაროშიც ბევრმა ვინმემ იცის მისი სახელი. შარშან იგი ევროპის ყველაზე პერსპექტიულ მოდელთა შორის დაასახელეს, რაც პატარა ამბავი ნამდვილად არაა, შვეიცარიის ნაკრების ქომაგებს კი დიდ სიხარულად ამ ქალის ტრიბუნაზე ჯდომაც ეყოფათ...

ბანუჩარ გიორგაძე



64

ჭადრაკის უგვირგვინო გეფა

პოლ მორფი (1837-1884) – მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი მოჭადრაკე. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებებს 10 წლიდან ეზიარა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონის წინაპართა გვარი მორფი არ ექვემდებარებოდა ესპანურ გამოთქმას და მალე მორფად გადაიქმნა.

1858 წელს პარიზში მორფიმ ლონდონის საერთაშორისო ტურნირის (1851) გამარჯვებული, არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონად მონათლული, ლეგენდარული ადოლფ ანდერსენი დაამარცხა (7,5:1,5); სწორედ ამ ბრწყინვალე გამარჯვებისთვის აღიარეს პოლ მორფი მსოფლიო ჭადრაკის უგვირგვინო მეფედ.

საყოველთაო სენსაცია მოახდინა მორფის ერთდროული თამაშის სეანსმა ბირმინგემში, სადაც ჭადრაკის დაფებზე დაუხედავად ეთამაშა 8 უძლიერეს მე-


ტოქეს. ამერიკელმა 6 პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო. იგი ხშირად წარმატებით თამაშობდა ფიგურების მიცემით (ფორა). დროთა მსვლელობამ ვერაფერი დააკლო მორფის შემოქმედებას. ალექსანდრ ალიოხინის აზრით, „ღრმად გააზრებული პოზიციური თამაში, მდიდარი ფანტაზია, მიზანდასახული შეტევები, ცეცხლოვანი კომბინაციები, გაბედული შენიღვები საყოველთაო აღტაცებას იწვევდა და ამჟამადაც იწვევს“.

„მორფი წარმოადგენს განსხვავებულ თამაშის შეუდარებელ დიდოსტატს. გენიალური ამერიკელის შემოქმედების შესწავლა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ნებისმიერ მოჭადრაკეს“... – ამბობდა მიხეილ ბოტვინიკი.

1864 წლიდან პოლ მორფი აქტიურ საჭადრაკო ცხოვრებას ერიდებოდა, ხოლო 1869 წლიდან საერთოდ დაანება

თავი თამაშს, რითაც საოცრად მოგვაგონებს ლეგენდარულ რობერტ (ბობი) ფიშერს (თ. შ.). მისი სულიერი მდგომარეობა

დელანუა – მორფი პარიზი, 1958



სვლა შავებისაა

- 1. ... f5 2. ა: c7- f7 3. მ: f2- e2+! 4. მ: e2- ლ2+ 5. მე e1- ლ2+ 6. მ: d2- ლ2+ 7. მ: d1- c2 X

მორფის პაექრობისას დელანუასთან ამ უკანასკნელმა მას შემდეგ, რაც ხელი დაავლო მეტოქის დაუცველ კუს, ირონიულად ჩაიქიჩილა: „ასეთი თამაშით ღირდა კი ამერიკიდან ევროპაში ჩამოსვლა?“ ოკენისგამელმა სკეპტიკოს მოჭადრაკეს კომბინაციური თამაში დაუპირისპირა და 7 სვლაში დაშაბათა იგი. მორფი ევროპულ ტურნეში დაფაზე დაუხედავად ეთამაშა მეტოქეს.

მოამზადა თამაზ შინგელიაძე

პატივგება

დაუპირისპირი სალაშქრო



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღის“ დაარსებიდან 30 წლისა და საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი რატიანის სასცენო მოღვაწეობის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღის“ დაარსებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით თეატრის

სამხატვრო ხელმძღვანელ მიხეილ რატიანს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მადლობის სიგელი, ხოლო სასცენო მოღვაწეობის 65 წლის იუბილესად და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღის“ დაარსებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო არტისტ გიორგი რატიანს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მადლობის სიგელი და სიმბოლური საჩუქარი გადასცა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავამ მიხეილ რატიანსა და გიორგი რატიანს, ასევე, თეატრის მსახიობებსა და ტექნიკურ პერსონალს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადასცა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩიაძემ სხვადასხვა ნომინაციის თეატრის საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის მსახიობებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელები გადასცა. ასევე, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოს სახალხო არტისტ გიორგი რატიანს სერგო ზაქარიაძის სახელობის პრემია მიანიჭა. ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიხეილ და გიორგი რატიანებს, თეატრალური დასის მსახიობებს სხვადასხვა სახელობითი ჯილდოები გადასცა. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ენძელა მაჭავარიანი, აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის წევრები, ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯურხაძე, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, სასულიერო პირები და დევნილები ესწრებოდნენ.

ქართული ბაზრის ბანკი „კოლივუდურად“ გახსნა

ბელგიის პოლიციამ დააკავა 27 წლის წარმოშობით ქართველი, ბელგიის მოქალაქე, რომელიც ანტიტერორიზმის ბანკ BNP Paribas Fortis-ის ფილიალის მარცხენა ექვსმეტრიანი, - ამის შესახებ ინფორმაციას Associated Press-ი ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, მძარცველები „კოლივუდის“ სცენარით მოქმედებდნენ.

„მათ ბანკის მოპირდაპირე შენობიდან გათხარეს ორი 5-10-მეტრიანი სიგრძის გვირაბი და საცაფში ამ გზით შეაღწიეს. ვიდრე იატაკს გახვრეტდნენ, მძარცველები, თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად, გაძვინდნენ კანალიზაციის მილებში, რომელთა სიგრძე 1,3 მეტრს შეადგენდა, სიგანე კი 80 სმ-ს. ყველაფერი ისე გააკეთეს, რომ ვერც დაეცვამ და ვერც ადგილობრივებმა ვერაფერი იეჭვეს“.



მძარცველებმა გაიტანეს 20-30 საბანკო სეიფი. სეიფებში, სავარაუდოდ, ინახებოდა დიდი რაოდენობით ბრილიანტი და ძვირფასი საიუველირო ნაკეთობები. ბანკის ფილიალი მდებარეობს იმ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც განლაგებულია ბელგიის უმსხვილესი ალმასის კომპანიები. მძარცვასთან დაკავშირებით, ბანკ BNP Paribas Fortis-ის ხელმძღვანელობამ უკვე მიმართა კლიენტებს თხოვნით, გაამზილონ სეიფებში შენახული ნივთების შესახებ, რომელთა რაოდენობაც ოფიციალურად არ სახელდება. ის, ვინც ამაზე უარს იტყვის, სადაზღვევო ანაზღაურებას ვერ მიიღებს.

იუველირო ნაკეთობები. ბანკის ფილიალი მდებარეობს იმ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც განლაგებულია ბელგიის უმსხვილესი ალმასის კომპანიები. მძარცვასთან დაკავშირებით, ბანკ BNP Paribas Fortis-ის ხელმძღვანელობამ უკვე მიმართა კლიენტებს თხოვნით, გაამზილონ სეიფებში შენახული ნივთების შესახებ, რომელთა რაოდენობაც ოფიციალურად არ სახელდება. ის, ვინც ამაზე უარს იტყვის, სადაზღვევო ანაზღაურებას ვერ მიიღებს.

ბანსხალება №1

გაცნობებით, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამეცნიერო საქმის წარმოება, კერძოდ 2015 წლის 2 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე ოლეა ლებედევას (პ/ნ 61001023728) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №70 (ს/კ 05.08.08.011.01.504) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მონაშთის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

ბანსხალება №2

გაცნობებით, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამეცნიერო საქმის წარმოება, კერძოდ 2001 წლის 23 აპრილს გარდაცვლილი ბატონი ალექსანდრე ვასილის ძე პავლოვსკის (დაბ: 23.03.1925 წ. გარდაცვალების მოწმობა II-AK № 760920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ნონევილის ქუჩა №54 (ს/კ 05.30.09.048) 1/4 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მონაშთის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

სანთელი

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს ყველასათვის საყვარელი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის



გურანდა ბაბუნია

გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

სსოვნა

